საერთო გაზეთი

№29 (762)
ოთხშაბათი
14 აგვისტო,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

„ბიჭი გოგოს წერილსა სწერს,

არ გაიგოს ვინმემ ცუდად...“

აფხაზეთი – „აფხა“ საქართველოს ბეჭია...

ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 11 სექტემბერს და ეღირება 2 ლარი

გასულ კვირას, სამების ტაძარში ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან გადმოსვენებული, გასული საუკუნის 90-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 16 იდენტიფიცირებული პირის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. გადმოსვენების პროცესი შერიგებისა და სამქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით, ქართველი და აფხაზი მონაწილეებისგან შემდგარი საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში განხორციელდა. 16 იდენტიფიცირებული პირიდან 7 სამხედრო მოსამსახურეა, ხოლო 9 მშვიდობიანი მოქალაქე იყო.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, ამ დროისთვის ნაპოვნია 621 ადამიანის ნეშტი, მათგან 316 იდენტიფიცირებულია, 2000-მდე ადამიანი ჯერ კიდევ უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის მიჩნეული...

აფხაზეთი – „აფხა“ საქართველოს ბეჭია...

1992-1993 წლების აფხაზეთის ომად წოდებული ომი ერთ დღეში არ დაწყებულა, წინაპირობები ჰქონდა. ერთ მხარეს იყვნენ: აფხაზი სეპარატისტები, გუდაუთაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი, ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები, მეომრები კაზაკთა მილიციიდან, ადგილობრივი სომხების ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი და აქა-იქ გზააბნეული კვლისმოყვარენი, მეორე მხარეს — დანარჩენი საქართველო.

პირადად მე, ვგმობ ნებისმიერი მიზეზით წამოწყებულ საომარ მოქმედებებს, რადგან მიმაჩნია, რომ ყველა ომი რამდენიმე ადამიანის წამოწყებულია და ომს მისი წამომწყებები კი არ ეწირებიან, არამედ ხალხი, რომელთაც სრულებით არ უნდათ ომი.

„ომი, ეს არის მდიდრებისთვის საშუალება, დაიცვას საკუთარი ინტერესები საშუალო და ღარიბი ადამიანების შვილების სიკვდილზე გაგზავნის ხარჯზე.“ (კარლინი)

ასეა ომების ამბავი და ამიტომ იყო ჩვენთან აფხაზეთის ომიც და აგვისტოს ომიც... „ქართული ოცნების“ ხელისუფლება რომ არა, რომელსაც კბილით უჭირავს მშვიდობა საქართველოში, ახლა 9 დიდი ორმო იქნებოდა საქართველოს ტერიტორია...

როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი კი არა, ძმათამკვლელი ომი გაჩაღდა ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალებით მოსულ შევარდნაძისა და ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის, პარალელურად, აფხაზ სეპარატისტებს საქართველოსთან ომში აქტიურად ეხმარებოდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზური ეროვნული გვარდიის მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ცეცხლი გაიხსნა. შემდეგ რაც მოხდა, იმის გახსენება არ მინდა. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა...

რა შედეგი მოიტანა ამ ომმა რომელიმე მხარისთვის?

საქართველომ დაკარგა აფხაზეთის ტერიტორია, თუმცა სამუდამოდ თუ გარკვეული დროით, როგორც ჩანს, მხოლოდ საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის გადასაწყვეტი არ ყოფილა...

აფხაზეთისთვის რა შედეგი დადგა?

აფხაზებისაგე დადებული ფოტო-ვიდეო მასალიდან ვხედავთ, რომ აფხაზეთის ტერიტორია, ადგილები, რაც გვინახავს და მწვანედ გადაფენელ-აყვავებული გვახსოვს, გაპარტახებულია, შენობები ჩაქცეული... აფხაზეთი, რომელიც საქართველოსგან დე-ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე, როგორც თვით აფხაზები აცხადებენ, აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის „დე-ფაქტო პროტექტორატია.“

რუსეთისთვის რა შედეგი დაიდო?

ერთადერთი — საქართველოსთან საკაჭროდ ხელში აფხაზეთის ტერიტორია დაიკავა. სხვათა შორის, ამის შემდეგ რუსეთისთვის არავის უკადრებია, საქართველოს ოკუპანტი ხარო.

ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და

სასიკვდილო არაფერი სჭირდა კრემლის რუპორად წოდებულ ვლადიმირ ჟირინოვსკის, როდესაც მისთვის ჩვეული გაწიწმატებით უმისამართოდ გამოენთო და გაჰყვიროდა, როდემდე და რატომ უნდა ვარჩინოთ ეს მუქთახორებიო; აფხაზეთი კიდევ ჰო, რამეში გამოდგება, თუმცა, ესეც საკითხავია, როდის ამოვიღებთ მასზე დახარჯულ ფულს, გადასახდია ეს საკითხი, მაგრამ ეს უპერსპექტივო სამხრეთ ოსეთი რად გვინდა, რა ხეირია მისგანო?

შემდეგ და შემდეგ, წლები რომ გავიდა და აფხაზეთში ნაომარი სამხედრო პირები ასაკში შევიდნენ, ჩემთან კერძო საუბრებში ჩემთვის მოულოდნელი რაკურსით დაიწყეს აფხაზეთის ომის შეფასება. მანამდე მხოლოდ ერთი მესმოდა მათგან: „შევარდნაძემ გაგვწირა! ტყვია-წამლის ნაცვლად კონსერვებს გვიგზავნიდნენ! ერთმანეთთან კომუნიკაცია არ გვქონდა! დაქსაქსულები ვიყავით! უკან დაგვახევინეს! მოგებული ომი წაგვაგებინეს!“ და მსგავსი შინაარსის ფრაზები.

მაღალი რანგის სამხედრო პირებისგან, რომლებიც ერთმანეთს ვინახო ჩემს საზღვრებთან ნატო, თორემ მწვავე რეაგირება მექნებაო. მორყეული და ძირგამომპალი კი იყო იმ დროს რუსეთი, მაგრამ რუსმა მოაზროვნე ტვინებმა გადაწყვიტეს, რომ გაემყარებინათ რუსეთის ეს მონაკვეთი, არ დაეშვათ ნატო-ს სამხედრო ბაზების განლაგება აფხაზეთის ტერიტორიაზე და სოხუმის პორტში შესვლა. **სოხუმის ყურე** (როგორც ბათუმისა) **არ იყინება, მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს — უკრაინის აკვატორია ზამთარში იყინება, ხოლო რუსეთის პორტებში, ზამთრის პერიოდში ძლიერი ქარები თითქმის ყოველდღიური მოვლენაა.**

რუსეთს მხოლოდ საქართველოსთან საკაჭროდ რომ სჭირდება აფხაზეთი, ვერ ატყობთ? აფხაზეთი გაიძარცვა, დაიშალა, დაიქცა, დაცარიელდა და ერთი აგური არ დაუდევს აგურზე. რაღაც გროშებს უგდებს და ახლა ისიც შეუმცირა, დამოუკიდებლობა თუ გინდათ, იყავით დამოუკიდებლები, თქვენ თავს თქვენ თვითონ მიხედეთო და უარს ეუბება რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებაზე. რა თქმა უნდა, ეს მოცემულობა სამუდამოდ არ გაგრძელდება — რუსეთს შეუძლია ერთი ხელის მოსმით აფხაზეთი მიიერთოს კიდეც და გვერდზეც მოისროლოს, შეუწყვეტს იმ მწირ დაფინანსებას და დამთავრდება მისი დამოუკიდებლობის აღიარებაც...

ჩემი მეგობარი სამხედრო პირები აფხაზეთის ომში მძიმედ დაჭრილი და სიკვდილს გადარჩენილები არიან; ორი მათგანი ტყვეებშია გაცვლილი... აფხაზეთში ნაომარი ასეთი სამხედრო პირები ამბობენ, რომ კეთილმეზობლურ ხელს ჩამოართმევენ აფხაზებსა და რუსებს...

აღსანიშნავია, რომ აფხაზებისა და რუსებისგან განსხვავებით, ჩარჩენილი მტრობა აქვთ სხვა დანარჩენებთან, განსაკუთრებით, ბაგრამიანის სახელობის ბატალიონთან, — ეს ცალკე თემაა...

„ომი ყველაფერს ჩამოწერს!“ — დაწერა ლეონიდ რაბიჩევმა, მაგრამ არის რაღაცები, რასაც ვერ ჩამოწერს...

რანაირად უნდა „ჩამოიწეროს“ ის, რაც „08.08. 08 — წყვლა საკაშვილისა“ დოკუმენტურ ფილმად დაიდო და მსოფლიომ ნახა? ამ ფილმში არაფერია ტყუილი, ყველაფერი მართლა ასე იყო!

მიხეილ საკაშვილი, აგვისტოს ომის №1 დამნაშავე დიახ, უნდა გასამართლდეს და გვერდზე უნდა მიუსხდნენ თანამზრახველები!

ბედავს და აცხადებს ეს ყოვლად უნამუსო და უსირცხვილო, უტიფარი, სამშობლოს გამყიდველი, გვამებზე მოცეკვე მანიაკი საკაშვილი „ვიუამედიდან“: „2008 წელს ჩვენმა ჯარმა მაგრად დადგომით, ხალხმა ქუჩაში გამოსვლით, მე თბილისში დარჩენითა და მსოფლიოს ფეხზე დაყენებით, ჩვენმა პარტნიორებმა თბილისში ჩამოსვლითა და ამერიკელებმა ფლოტის გამოგზავნით საქართველოს სახელმწიფოებრიობა გადავარჩინეთ.

მე ტყვეობაში მამყოფებენ მხოლოდ იმიტომ, რომ მტერს საქართველო არ ჩავაბარე.

მაშინ მტერმა ვერ დაგვიპყრო და ტრაგედიაა, რომ რაც ჩვენი ძალით დავიცავით, ახლა ხელახლა გვაქვს მოსაპოვებელი.

26 ოქტომბერს ჩვენ ხელმეორედ 1991 წლის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება გვაქვს აღსადგენი”.

„ოცნებას“ თუ მართლა აქვს გამიზნული, რომ ვინმემ პასუხი აგოს 2008 წლის ომზე, უამრავი მოწმეა, სამხედრო პირები, რომლებიც იმას იტყვიან, რასაც ხედავდნენ აგვისტოს ომამდე და რასაც თავის მხრივ ადასტურებდა იმ დროს ბრიტანული გამოცემა „ფაინენშლ თაიმსი“.

გამოცემამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ამერიკელი ინსტრუქტორები ინტენსიურად ამზადებდნენ საქართველოს შეიარაღებულ ჯარებსა და სპეცნაზს პენტაგონის მითითებით; რომ ქართული სამხედრო ქვედანაყოფები ემზადებოდნენ იმ პროგრამით, რომელიც აპრობირებული იქნა 1995 წელს ხორვატიაში, რაიონ კრაინის აღების დროს, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა ეთნიკური სერბები იყვნენ.

კარგად მახსოვს ტელეკომპანია „იმედიდან“ ირაკლი ოქრუაშვილის იმ დროისთვის სკანდალური აღიარება, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს ჰქონდა სააკაშვილს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით საბრძოლო მოქმედებების გეგმა. ვფიქრობ, ეს იგივე გეგმა იყო, რომლის შესახებაც ვიცოდი, — გეგმა კოდური სახელწოდებით „ვეფხვის ნახტომი“, რომლის მიხედვითაც, 2006 წლის 1-ელ მაისამდე უნდა აეძულებინათ რუსეთი, რომ გაეყვანა მშვიდობისმყოფელები. გათვლილი იყო ისიც, რომ ამ ოპერაციას მხოლოდ 7 დღე დასჭირდებოდა, მაგრამ მიზეზთა გამო მაშინ ეს არ მოხდა.

საინტერესოდ არ გეჩვენებათ, რომ კონდოლიზა რაისიდან დაწყებული და ვალტერ შტაინმაიერით დამთავრებული, ყველა ლამის ეხვეწებოდა სააკაშვილს, რომ რაიმე სისულელე არ ჩადინა რუსეთის გამოსაწვევად, მაგრამ სააკაშვილმა მინმეს მოუსმინა? ეს რას ნიშნავს, იმას ხომ არა, რომ სააკაშვილს სხვასთან ერთად დაგეგმილი სხვა გეგმაც ჰქონდა, რაც მას და გეგმის შემდგენს კარგად ახეირებდა?

აფხაზეთთან დაკავშირებით რაც ვიკითხე, იგივეს ვიკითხავ: რუსეთთან სამაჩაბლოში 5-დღიანი პროვოცირებული ომის შემდეგ, რომელს რა შედეგი დაგვიდგა?

რუსეთმა — წერტილი დაუსვა

5 ბ3.

კელი დეგნანის დირიჟორობით დაწყებული ოპერა „არა რუსულ რაღაც-რუღაცებს“ - გრძელდება

გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ძაღაგიძე.

- ბატონო ზურაბ, არაერთხელ ითქვა, რომ „ხალხის ძალა“ მმართველ გუნდთან ერთად, აგვისტოს ომის მოვლენების სამართლებრივ შეფასებას აპირებს. ახლა, 16 წლის შემდეგ, როგორ შეაფასებდით იმ ტრაგიკულ ხუთ დღეს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიიდან?

- აგვისტოს ომის თემასთან დაკავშირებით, ხშირად იბადება შეკითხვა, თუ სად იყო აქამდე ხელისუფლება და რატომ არ გამოიძიეს ეს საკითხი. ბევრჯერ მოგვიწია ახსნა, რომ ეს იყო საერთაშორისო საკითხი, რომელსაც სჭირდებოდა საერთაშორისო შეფასება. აქედან გამომდინარე, სანამ არ დასრულდებოდა სტრასბურგისა და ჰააგის სასამართლოებში საქართველოს საქმე, საქართველო აგვისტოს ომის გამოძიებას ვერ დაიწყებდა, რადგან რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს საერთაშორისო სასამართლოებში არ გამოეყენებინა ჩვენი შიდა გამოძიება და ხელი არ შეეშალა ჯეშმარიტების დადგენისთვის. ახლა კი, როდესაც სტრასბურგისა და ჰააგის საერთაშორისო სასამართლოებში საქართველო სრულად გამართლდა რუსეთის წინააღმდეგ. დროა, ამ ყველაფერს სამართლებლივი და პოლიტიკური შეფასება მიეცეს: რა მოხდა 2008 წელს; იყო თუ არა რაიმე სახის კულუარული შეთანხმება, რასაც მალავენ; ჰქონდათ თუ არა მაშინდელ ქართველ მაღალჩინოსნებს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან კოლაბორაცია; როგორ კოლაბორაციაში იყო საქართველოს მთავრობა რუსეთის სპეცსამსახურებთან; რა გარიგებებს ჰქონდა ადგილი; რამ განაპირობა საქართველოს მთავრობის მხრიდან, ქართულ ჯარზე ომის დაბრალება; რატომ ანადგურებდნენ ფაქტებს, მასალებს; რაიმე ბუნდოვანება ხომ არ იყო საქართველოს ოფიციოზსა და საერთაშორისო სასამართლოებს შორის ურთიერთობაში და ასე შემდეგ...

ევროსაბჭოს რეზოლუცია 16/33-ში მითითებულია, რომ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ პირდაპირ დააბრალა ქართულ ჯარს ომის დაწყება 2008 წლის 7 აგვისტოს, რითაც მათ საერთაშორისო დონეზე აღიარეს, რომ საქართველომ რუსეთთან ერთად ჩაიდინა ომის დანაშაულები! ეს არის დეკლარირებული რეზოლუცია, რასაც ხელი მოაწერა „ნაციონალების“ ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსანმა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ მინდობილი მანდატით სარგებლობდნენ. ეს მასალა გადამალეს და 2012 წლამდე, ვიდრე ხელისუფლება არ შეიცვალა, საერთაშორისო საგამოძიებო ორგანოები ამ ფაქტებს ეძებდნენ. ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ფაქტი დაიმალა, გაყინული იყო საერთაშორისო გამოძიება. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო ფაქტების მოძიების პროცესი. მოპოვებულ იქნა უამრავი მტკიცებულება, რომელიც საკაშვილის მთავრობის მიერ განადგურებას გადაურჩა, რაც საერთაშორისო გამოძიებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და დაიწყო აქტიური კომუნიკაცია სამინისტროსა და საერთაშორისო სასამართლოებს შორის.

საქართველო პატარა ქვეყანაა და ინფორმაციები არ იმალება. სოციალური ქსელებიდან, ფაქტებიდან თუ კონკრეტული პიროვნებებიდან გამომდინარე, ყველამ იცის, თუ რა ხდებოდა რეალურად იმ პერიოდში. თუმცა, პოლიტიკური ჭირი, რომელიც 2003-2012 წლებში საქართველოს წამლავდა, დღესაც რეანიმაციას ცდილობს და მეტასტაზებივით ლამობს გამრავლებას. რამდენი უბედურება დაატეხეს ქვეყანას – რუსების ავანტიურას აჰყვნენ, დახოცილი გმირები უპატრონოდ მიატოვეს ბრძოლის ველზე, წითელი ხიდიდან გარბოდნენ, ომის დაწყება და სამხედრო დანაშაულები საკუთარ ჯარს დააბრალეს, საერთაშორისო გამოძიებას ხელი შეუშალეს და ფაქტები გადამალეს, ხოლო ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, არათუ მიჩუმდნენ და დანაშაული გაიაზრეს, ორმაგი ძალებით დაიწყეს ქვეყნის ნგრევაზე ფიქრი! ეს ყველაფერი გამოუძიებელი არ დარჩება და უმკაცრესად მოუწევს პასუხისგება ყველას, ვინც პირდაპირ თუ ირიბად იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულებში.

ახლა, როდესაც საქართველო სრულიად გამართლებულია რუსეთის ფედერაციასთან, აუცილებელია, დაიწყოს ნაციონალური რეჟიმის სამართლებრივი საქმის წარმოება! ქართული "ნიურნბერგის პროცესი“ თავის თავზე უნდა აიღოს, ახალი მოწვევის პარლამენტმა, როდესაც ქართველი ხალხი დიდი ლეგიტიმაციით გაუგრძელებს მანდატს ხელისუფლებას.

- ყველაფრის მიუხედავად, „ნაცმოძრაობა“ ისევ პირველი (თუ არა ერთადერთი) ოპოზიციური ძალაა დღესდღეობით, რომელიც კვლავაც საპარლამენტო მანდატების მოსაპოვებლად იბრძვის...

- დიახ! გამომდინარე იქიდან, რომ არ აღსრულდა სამართალი სრული მასშტაბით, დღეს „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ კვლავაც ცდილობს, წარმოჩინდეს, როგორც პირველი ძალა ოპოზიციაში და თუკი ვინმე ეცდება, რომ ოპოზიციურ პალიტრაში თავისი ფერი შემოიტანოს, მომენტალურად ცდილობენ, ჩაყლაპონ ისინი! ჩვენ ვნახეთ „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლაც, შეერთებაც, ფორმირება და რებრენდინგი, ეს ადამიანები კვლავ განაგრძობენ დანაშაულებრივ ქმედებებს, კოლაბორაციას სხვადასხვა უწყებასთან. შედეგად, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი ორმაგ შტურმს ახორციელებენ სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სრულიად სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ორი თაღლითი აფინანსებს ამჯერად ოპოზიციას - ერთი საერთაშორისოდ აღიარებული კეზერაშვილი და მეორე, ქართული მართლმსაჯულებითა და აწ უკვე საარბიტრაჟო სასამართლოთი საერთაშორისოდ დეკლარირებული თაღლითი მამუკა ხაზარაძე. ეს ადამიანები და მათ „მამამთავარი“ მხოლოდ 7 ნოემბერის, გირგვლიანის, საზღვრის გადმოკვეთის თუ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე კი არ უნდა გასამართლდნენ - თუ მათ დანაშაულებს ინტენსიურად არ გამოვიძიებთ, საქართველო ყოველთვის იქნება ისეთივე პოლიტიკური ინსიმულაციების ობიექტი, როგორიც დღეს არის! მართალია, მერაბიშვილმა რაღაც ბრალი მოიხადა, კეზერაშვილსა და ადეიშვილზე საქმეა აღძრული, ქარდავა დაკავებულია, უგულავამაც მოიხადა სასჯელი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათი დანაშაულებრივი მმართველობის რეალური სურათი მივიღოთ, თუნდაც საერთაშორისო თვალსაზრისით! თავი რომ დავანებოთ 8 აგვისტოს, ტალიავინის დასკვნას და ევროსაბჭოს რეზოლუციას, იმდენი ბუნდოვანებაა დარჩენილი, რომ აუცილებელია ამის გამოძიება, რათა ყველამ ყველაფერი გაიგოს! მაგალითად, რატომ არ გამოცხადდა 8 აგვისტომდე საგანგებო მდგომარეობა, რატომ მოხდა ისე, რომ გადაწყვეტილებებს იღებდნენ არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო პოლიტიკური პირები: გიგი უგულავა, ადეიშვილი და პოლიტიკური გუნდის სხვა წევრები; რა ხდებოდა რეალურად გენერალურ შტაბში; ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს?! ამაზე ვსაუბრობდით მაშინ, როდესაც „ხალხის ძალა“ ჯერ მხოლოდ მოძრაობა იყო, ეს ხაზი გავაგრძელეთ, როდესაც პარტიად ჩამოვყალიბდით და როცა

უკვე, ხელისუფლებასთან ერთად, საერთო გზით ვცდილობთ, უმრავლესობით მოვიდეთ.

- ანუ შესაძლოა, ჩამოთვლი პოლიტიკოსები აგვისტოს ომის ფაქტის გამოც გასამართლდნენ?

- „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ მაღალჩინოსანზე არსებობს ეჭვი, რომ მას ჰქონდა კოლაბორაცია რუსეთის სპეცსამსახურებთან, რომლებსაც ომის პროცესში უნდა დაებომბათ გორის ცენტრი, სადაც მაშინ სტალინის ძეგლი იდგა. ვინ იყო, არ ვიტყვი, მაგრამ ასეთი ინფორმაცია რუსული და ქართული წყაროებითაც გავრცელდა. ეს ყველაფერი თუ დადასტურდა, მაშინ იმ ადამიანის მიმართ აუცილებლად უნდა დადგეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. წარმოიდგინეთ, მტერთან ბრძოლის პერიოდში ახორციელებ კოლაბორაციას სპეცსამსახურებთან და ცდილობ, პოლიტიკური ინსიმულაციებიდან გამომდინარე, რაღაც სარგებელი მიიღო! როდესაც ასეთი ინფორმაციები არსებობს, რაზეც ჯერჯერობით სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა, შეიძლება გაცილებით მეტ ადამიანს მოუწიოს კონკრეტული პასუხისმგებლობის აღება.

მაგალითად, შოთა უტიაშვილის განცხადება, რომელიც შსს-ის ანალიტიკურ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა საკაშვილის რეჟიმის დროს, ნათლად წარმოაჩენს საკაშვილის მთავრობის დამოკიდებულებას აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ასობით დაკარგული სოფელი, დახოცილი სამხედროები და მშვიდობიანი მოქალაქეები, ასიათასობით დევნილი მოქალაქე და საქართველოს ოკუპაცია, თურმე, მისი აზრით, „ქვეყნის ამოსუნთქვის საშუალება“ ყოფილა. ანუ, ეს ომი იყო ნაცხროვის მიერ წინასწარ გათვლილი ნაბიჯი, რითაც მათ რუსეთის სახე დაანახეს მსოფლიოს! ამ ნაძირალას ცოლი კი სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი „გამპრავებელი“ იყო და დღესაც იმავე რეჟიმის მახინჯი სახეა, უკვე ოპოზიციური მედიიდან.

- ბოლო დროს ოკუპანტი ქვეყნის მიმართ ნაციონალების შეცვლილი რიტორიკა რას უნდა ნიშნავდეს?

- ეს ნათელი დემონსტრიტრებაა იმისა, რომ, როდესაც არჩევნები ახლოვდება, ისინი ცდილობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებთან დაახლოებას. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, რაზეც საუბრობს ხელისუფლება, ეს ყველაფერი არის საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე და სწორედ ამაში დარწმუნდა ახლა ოპოზიცია. მათ დაინახეს, რომ ქართველ ხალხს ომი არ უნდა, საქართველოს სანქციები და ტურისტული თუ ფინანსური შეზღუდვა მეზობელთან, ოკუპანტ რუსეთთან არანაირად არ აძლევს ხელს - ეს ყველაფერი საზოგადოების განწყობიდან გამომდინარეა და არა ვინმეს ახირება! ამაზე საუბარი დაიწყეს ახლა, როდესაც არჩევნები მოახლოვდა, ცოტა ხნის წინ კი იგივე სახეები ამბობდნენ, რომ ეს იყო პოპულიზმი და საზოგადოების ტვინის გამოირეცხვა, რომ შესაძლებლობების ფანჯარა უნდა გამოგვენახა, აფხაზეთშიც უნდა „გაგვესეირნა“ და სანქციებიც უნდა დაგვეწესებინა ოკუპანტისთვის!

მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ანა დოლიძე მივიდა მამუკა ხაზარაძესთან, ველურ კაპიტალისტთან, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის მფარველობით, ნახევარი საქართველოს გაძარცვა მოახერხა და მასთან სოციალურ სიკეთეებზე საუბარი დაიწყო. სხვათა შორის, ანა დოლიძე ის ადამიანია, რომელიც მამუკა ხაზარაძის მსგავს ველურ კაპიტალისტებს ყოველთვის ლანძღავდა და აგინებდა, მაგრამ ეს ახლა მას სჭირდება და ასე საუბრობს. ანუ, ძალიან ბინძური პარადოქსები ხდება იმისათვის, რომ ორიოდე ხმა მაინც აიღონ ამ ადამიანებმა, რომელთაც არანაირი ზნეობა და მორალი არ მოეკითხებათ! ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ შეიცვალეს მათ რიტორიკა. ეს არის მათი ბოლო „გაფართხა-

5 ბ3.

საქართველო, გვახსოვდეს არდაბრუნებული ბიჭები!

წერილი ეძღვნება აფხაზეთის ომში დაღუპულ ახალგაზრდას, ბესიკ თურქიშვილს. ამ წერილის ძირითადი ნაწილი 1993 წელს დაიწერა. ყველა გაზეთი თანახმა იყო, დაებეჭდა ერთი პირობით - უნდა ამომეღო წინადადება „არ გვინდოდა, დამარცხებისთვის წინასწარ განწირულ ომში მიეღო მონაწილეობა“. ეს არ დავუშვი, რის გამოც წერილი არ დაიბეჭდა.

ვუშლიდით და არ დაიშალა

მოკლედ მოჭრა - მე არ წავიდე, სხვა არ წავიდეს, რა ქნან იქაურმა ქართველებმაო.

თქვა და წავიდა.

არ გვინდოდოდა, დამარცხებისთვის წინასწარ განწირულ ომში მიეღო მონაწილეობა. ის იყო უკანასკნელი გამგრძელებელი გვარისა ოდესღაც მრავალრიცხოვან ოჯახში. მის დაღუპვაზე ფიქრიც შემზარავი იყო.

9 ივნისს ოცდახუთი წლისა შესრულდებოდა. სურათიდან კი სიჭაბუკიდან სიჭარმაგრში გადამდგარი მძიმე ფიქრებში ჩაძირული კაცი მოგვჩერებია. ასეთი ბესიკი არავის გვახსოვს. ეს ფოტო თვითონ არ უნახავს, გადაიღო და ისევ აფხაზეთში წავიდა. ეს დაკაცება, ჩვენ რომ შემჩნევაც ვერ მოვასწარით, ომის ბრალია, ბრძოლის ველზე რომ თავისი თანატოლების სიკვდილი ნახა, იმის ბრალია.

ომამდე სულ სხვანაირი იყო - თბილი, დამყოლი, ალალი, ძალიან თავაზიანი, ძალიან მიმტევებელი, როგორც ეს ხშირად სჩვევიათ ამ ქვეყნიდან ნაადრევად წამსვლელ ბიჭებს. თავდავიწყებული მოცურავე და ცეცხლოვანი მოცეკვავე იყო. ის რომ მთიულურს ცეკვავდა, იფიქრებდით, ფეხებიდან ნაპერწკლები სცვივაო.

გარეგანი სილაღის მიღმა რაღაც იდუმალი სევდა იმალებოდა მის ლამაზ თვალებში. რაღაც სიზმარიც ჰქონდა ნანახი. დიდი ხნით ადრე უთხრა დედას - ოცდახუთ წლამდე ვერ მივაღწევო.

ორი თვის წასული იყო. დაჭრილებსა და ლტოლვილებს ბადრაგად ჩამოჰყვა თბილისში. გასაკვირ ამბებს ჰყვებოდა. ბრძოლით წავიწევთ წინ, ავიღებთ რაღაც ობიექტს, მოკლე ხანში საიდანღაც ვიღაც დარეკავს და საწყის პოზიციაზე გვაბრუნებენო. ჩვენ ისევ დავუწყეთ ხვეწნა - ახლა ხომ ხედავ, რომ ეს მოსაგები ომი არ არის, აღარ წახვიდეო. არაო, თქვა, იქიდან რომ ბიჭებმა თვალი გამოგვაყოლეს, იმათი ღალატი არ იქნებაო, თქვა და ისევ წავიდა.

1992 წლის 31 დეკემბრის საღამოს ბესიკმა აფხაზეთიდან ტელევიზიით ახალი წელი მიულოცა საქართველოს, თან დაამატა - არ დაგვივიწყოთ ისინი, ვინც ვეღარ დავბრუნდებითო.

ბესიკ თურქიშვილი 1993 წლის 9 იანვარს დაიღუპა. ოჩამჩირეში კოჩარასკენ მიმავალ გზაზე ნაღმზე აფეთქდა. მისი დასახიჩრებული სხეული თავისმა ვაჟკაცმა და ერთგულმა თანამებრძოლებმა, კახა ადამაშვილმა და მანუჩარ წივილაძემ დედას ლურჯი აბრეშუმის საბანში სათუთად შეხვეული ჩამოუსვენეს. მოწყვეტილ ფეხებზე თეთრი ქათქათა წინდები ეცვა, გულზე დიდი ბღუჯა წმინდა თაფლის სანთლები ეწყო. ეტყობოდა, რომ ვიღაცას დედის მაგიერი მზრუნველობა გამოეჩინა. ეს დედის მაგიერი სამოცდათხუთმეტი წლის ქალბატონი (მაშინ ამ ასაკის იყო) დიდი ქართული ოჯახის დედა, ოჩამჩირის მკვიდრი შურა არდბელავაა - შურა ბებია, როგორც მას აქედან ჩასული მებრძოლი ბიჭები ეძახდნენ, რომლებსაც შურა ბებია თავის სახლში აცხოვრებდა და შვილიშვილებივით უვლიდა. ბესოს და შურა ბებიას სიყვარული კი განსაკუთრებული იყო ბესოს გამორჩეულად კეთილშობილი ბუნების გამო. ამიტომაც დიდია შურა ბებიას მწუხარება და ამიტომ აკეთებს იგი ყველაფერს დაღუპული ბიჭის სულის სალხენად. ბესიკის ახლობლები მოწიწებით ვუხდით მადლობას ამ ღირსეულ მანდილოსანს.

ბესიკის დედამ შურა ბებიასგან წერილი მიიღო. წერილში გამხმარი ჭადრის ფოთოლი იდო, რომელსაც ბესიკის ხელით აწერია - ბესიკი. ასეთი ფოთლები შურა ბებიამ თურმე ბესოს და მის თანამებრძოლებს სათითაოდ დაურიგა. შეტევაზე წასვლის წინ ბიჭები ამ ფოთლებს შურა ბებიას ხელიდან იღებდნენ და იფიცებდნენ, რომ ცოცხალი დაბრუნდებოდნენ და ფოთოლს შურა ბებიას ჩააბარებდნენ. ასე გრძელდებოდა ეს წმინდა რიტუალი ავგაროზის გადაცემისა 9 იანვრამდე. 9 იანვრის დილას ყველამ მიიღო თავისი ფოთოლი და შეტევაზე წავიდნენ. შუადღისას ჯგუფი საღსალამათი დაბრუნდა. ნაკაწრიც არ ჰქონდათ ბიჭებს. რაღაც სხვა დავალებაზე სხვა ჯგუფი უნდა წასულიყო, მაგრამ ჩვენ უფრო გამოცდილები ვართო და ისევ ესენი წავიდნენ. ბესოს სიჩქარეში ფოთოლი დაავიწყდა. წავიდა და ველარ დაბრუნდა.

ორმოცამდე რამდენიმე დღით ადრე ბესოს დედა ბესოს მეთაურმა, ამჟამად დაღუპულმა მებრძოლმა ზვიად ტოგონიძემ ინახულა. იტირა ლომისდარმა ვაჟკაცმა ბესიკის სურათებთან - ერთგული და უღალატო ბიჭი იყოო, უჩვეულოდ უშიშარი და მამაცი, სანამ ავტომატი არ ჰქონდა, შიშველი ხელებით მიდიოდაო შეტევაზე. 9 იანვრის შემდეგ შვებულებით ვუშვებდი სახლში, მეორე დავალებაზე არ უნდა წასულიყო, გამეპარაო. სასუფეველში დაამკვიდროს ღმერთმა ზვიად ტოგონიძის სული, მას კი არ გაეპარა ბესიკი, ბედისწერამ გაიტყუა იგი.

ბესიკ თურქიშვილი იმ ქართველ ჭაბუკთაგანი იყო, ვის სულშიც ჩვენი წინაპრების დვრიტა იყო შემორჩენილი, ვინც ვაჟა-ფშაველას გმირების დარად კაცური კაცის სახელს ეძებს მხოლოდ.

„ქვეყნისა, სამშობლოსათვის
მხოლოდ რჩეული კვდებისა“.

რჩეულები ორ ომში დაგვეღუპნენ. ზოგ მათგანს დედის ცრემლიც არ ეღირსა, ვინ იცის, სად არიან დამარხულნი. ღმერთმა ზეციურ საქართველოში ჩვენს დიდ პაპებთან დაამკვიდროს მათი სულები. მათი ადგილი იმათთან არის.

საკითხავია, ვინ დაგვრჩა

ორი ლამაზი ბიჭი, ასე 10 და 12 წლისანი, მძიმე ჩანთის ტარებაში დამეხმარნენ. დამშვიდობებისას მადლობა რომ გადავუხადე, ვკითხე - ასეთი კარგები რომ ხართ, თავაზიანები, ყურადღებიანები, ყოჩაღები, საქართველო გიყვართ-მეთქი? სიცილი დაიწყეს. რატომ იცინით, რა ვთქვი სასაცილო - მეთქი, საქართველო რა საყვარელია, ამერიკა ხომ არ არისო. ხედავთ? ჯერ ისევ ბავშვები არიან და უკვე უცხოა მათთვის თავიანთი სამშობლო.

ოცი წლის წინათ ამერიკამ ტროას ცხენად რომ შემოგვიგდო სააკაშვილი, მან მაშინვე დაიქადნა - მე უნდა შევცვალო ქართველი ხალხის მენტალიტეტი. თქვა და აღასრულა. განათლების სისტემიდან დაწყებული, ყველაფერი მოშალა, რაც რამ ღირებული გვებადა. ამის შედეგია, ჩვენს ახალგაზრდობას სამშობლოს გრძნობა რომ არ გააჩნია და გარბის. გარბის ევროპასა და ამერიკაში, იმ ქვეყნებს ამრავლებს და რამდენადაც შეუძლია, თავისი შრომით აძლიერებს. საქართველოში კი მათ ნაცვლად შემოდიან არაბები, სპარსელები, თურქები, ინდოელები, აფრიკელები, უპრობლემოდ იღებენ ბინადრობისა და ბიზნესის კეთების უფლებას. საქართველოს მიწები ბაზარზეა გატანილი და სასწორზე დადებული წარწერით: „შეიძინეთ კარაქივით მიწა ქართლ-კახეთში ფასდაკლებით. ინდოეთში რომ ერთ ჰექტარს იყიდით, იმ ფასად აქ ას ჰექტარს მოგყიდით“.

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა შეჯამებულად ასე შეიძლება გამოიხატოს - **გვიახლოვდება წერტილი** (ეს მუხრან მაჭავარიანმა ისეთ დროს თქვა, წერტილი კი არა ჯერ მძიმეც არ გვქონდა მოახლოებული).

საკითხავია ის სიცოცხლით სავსე ბიჭები ორ ომში იმისათვის იბრძოდნენ, რომ საქართველო ბოლოს იმათ შთამომავლებს დარჩეთ, ვისგანაც ჩვენი ხმალჩაუგებელი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ და თვითონ ლეგიონებად წვებოდნენ მიწაში? არა მგონია. ეს ბიჭები არც ყველასა და ყველაფრის გამრყვნელი ნეოლიბერალური იდეოლოგიის დასამკვიდრებლად იბრძოდნენ და, ზოგადად, არც ეგრეთ წოდებული დემოკრატიის დასამკვიდრებლად. მათი „შინ“ ევროპა არ იყო. მათი „შინ“ საქართველო იყო.

მათ ღირსეული ქართული საქართველოსთვის გაწირეს თავი.

თუ მოხდება უუდიდესი სასწაული და ორი თაობის შემდეგ საქართველო ისევ ქართველთა ქვეყანა იქნება, ამ სასწაულს ღმერთი მოახდენს საქართველოსთვის თავდადებული ბიჭების სულის სალხენად. მაგრამ ღმერთმა კარგად გვითხრა - მარტო მე ნუ შემომყურებთ, თქვენც თავი გაანძრიეთო, ყველას - შინაურსაც და გარეულსაც ნუ აძლევთ უფლებას, ისე ჯიჯგნონ საქართველო, როგორც გაუხარდებათო. ამიტომ „შინ ევროპისკენ“ და მსგავს უაზრო ლოზუნგებს თავი დავანებოთ და შედეგის მომტანი გზა მოვძებნოთ, რომ ჩვენი სათაყვანებელი ბიჭების თავგანწირვა ამაო არ აღმოჩნდეს.

დალი ჭრიკიშვილი

P. S. წერილში მხოლოდ ერთ იმათგანზე მოგითხრობთ, მაგრამ წერილიც და ჩემი ცრემლებიც ეკუთვნის ორივე ომში დაღუპულ ყველა მებრძოლს, მათ, ვისაც საქართყელოსთვის ახალი თაობა უნდა მიეცათ თავისნაირი ვაჟკაცი ბიჭებისა და ვაჟკაცი ბიჭების გამზრდელი გოგონებისა.

აფხაზეთი - „აფხა“ საქართველოს ბეჭია...

2 გვ.

არა მხოლოდ სამაჩაბლოს, არამედ აფხაზეთის სტატუსსაც და კიდევ ერთი „კოზირი“ დაიკავა ხელში საქართველოსთან სავაჭროდ.

საქართველომ — მოღალატე ხელისუფლების ხელით, რუსეთს ხონჩით მიართვა საქართველოს ტერიტორიის 22%. მანამდე თუ აფხაზეთიცა და სამაჩაბლოც ოფიციალურად საქართველოს ნაწილად იწყო დაფიქსირებული, ახლა მხოლოდ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები ჰქვია.

სხვათა შორის, ამ ბოლო დროს რაღაც სხვანაირადაც მომესმა ჩვენი „დაუძინებელი მეგობრებისგან“, თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკაო...

იძახონ ახლა აგვისტოს ომის დამგეგმავებმა: „რუსეთი ოკუპანტია! პუტინს ნიღაბი ჩამოვგლიჯეთ და მსოფლიოს დავანახეთ მისი სახე!“

ლოგიკურად, ამ 5 დღის სანაცვლოდ, რაღაც ძალზე დიდი ხეირი უნდა ენახა სააკაშვილს და მხოლოდ სათავისოდ, ვინმეს წილში გაყვანის გარეშე... ამ ხეირის ფონზე, სააკაშვილისთვის დაკარგული 130 ქართული სოფელი რაღაც ქვების გროვაა, ხოლო მის მიერ წამოწყებულ ომს შეწირული ვაჟკაცები კი — სტატისტიკა!

მით უმეტეს, არაფრიც არ არის №1633 რეზოლიცია, რომელსაც უპრობლემოდ მოაწერეს ხელი მისმა თანამზრახველებმა და ყურმოჭრილმა ყმებმა, რომლის მიხედვითაც საკუთარი თავი კი არ დაიდანაშაულეს, ქართველ ვაჟკაც სამხედროებს უპირებდნენ ომის წამოწყების გადაბრალებას და ლამის სრულიად საქართველოს დასანქცირებას უყრიდნენ საფუძველს.

ვითომ რუსთმოძულე ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“ სულ ცალ ფეხზე არ ვეკიდეთ? 2009 წლის 9 მაისს, მოსკოვში, წითელ მოედნზე, რუს სამხედროებთან ერთად პოზირებდნენ და ერთობლივი სამხედრო აღლუმი გამართეს.

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილების დაძვრისთანავე ამერიკელი ინსტრუქტორები სასწრაფოდ გაერიდნენ სიტუაციას და მათ უკან მიჰყვა საქართველოს მთავრობა, საქართველოს გასასვლელებიდან ვინ საით ასწრებდა, თვითონაც არ იცოდნენ. დავით ბაქრაძე გვაიმედებდა, 12 საათით ადრე გაგაფრთხილებთ, მტერი თბილისისკენ თუ წამოვა და დაიცავით თავი კეტით თუ დანით, თავში ქვა გიხლიათ და მუცელში სამართებელიო, — ეს რომ მახსენდება, ოცნება მებადება, — „ნაცბანდის“ სასამართლოზე მათი ბრალმდებლობა მინდა!..

ახლა, ეს რა სპექტაკლი წამოიწყეს, რას ემსახურება, რა შორსმიმავალი აზრი დევს 8 აგვისტოს თარიღის შეცვლაში, ვფიქრობ, მაგრამ ვერ ვხვდები.

ესენი, ალბათ, რომელიმე 8 აგვისტოს ვინმეს ჭირისუფალმა გაიგდო ფეხქვეშ და შიშის გამო 7-ში მიდიან იმ შეწირული გმირების საფლავებთან, რომელთა ცხედრებიც მზის გულზე დაყრილები მიატოვეს, პარალელურად კი თბილისში ტაშფანდურობდნენ, ერთმანეთს გმირებად რაცხავდნენ და ფანტაზიორობდნენ, 100 000 რუსი ტყვე გვყავსო...

თარიღის აკვიატებას არ მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ საქართველოში აკრედიტირებული დიპკორპუსის წარმომადგენლებიც რომ აჰყვნენ, ვეღარ გავჩერდი. გავიგეთ, რომ უცხოელი დიპლომატები ღიად არიან ჩართულები საქართველოს საარჩევნო გარემოში თავიანთი ნომრიანი აგენტების მხარდამჭერებად, მაგრამ ესენიც თუ თავიანთი აგენტურის მსგავსად ასე შუბლისძარღვაწყვეტილები იყვნენ, არ მეგონა!

ჩვენ გენერალმა მამუკა ყურაშვილმა გამოგვიცხადა 8 აგვისტოს, რომ ეს იყო „კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად საქართველოს ჯარების გამიზნული შეიარაღებული შესვლა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე“.

სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა გვითხრა, რომ საქართველოს ხელისუფლების მიზანი ქალაქების აღება კი არ არის, არამედ, თბილისს სურს, რომ წერტილი დაუსვას კრიმინალურ რეჟიმს. ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ ეს იყო ქართული არმიის მოქმედება სამხრეთ ოსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევაზე.

9 აგვისტოს, საქართველს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი სააკაშვილის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადებას და სრულ მობილიზაციას. 5 დღის შემდეგ რაც მოხდა, კი იცით, ომის წამომწყები ერთი მუჭა ნაძირალები გაიქცნენ; მძევლად დატოვებული სააკაშვილი ჰალსტუხს ღეჭავდა; რეზერვისტები და მოსახლეობა კი შეგვატოვეს რუსეთის არმიას, რომელსაც თბილისისკენ არცკი გამოუხედავს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გადაგვიშხუილა, რაც მნიშვნელოვან ობიექტებად მიაჩნდა, ავიაგამანადგურებლებით მიაცეცხლა და დაგვანება თავი.

დიპკორპუსის წარმომადგენლებმა თავიანთივე ბეჭდურ მედიას მაინც გადახედონ, ასეთი უნამუსოები როგორ არიან?

„შპიგელი“ (გერმანული გაზეთია და მიაფარეთ სახეზე სალოცს!) წერდა, რომ რუსეთის შეიარაღებულმა სამხედრო ნაწილებმა როკის გვირაბის მიმართულებით სვლა არაუადრეს 8 აგვისტოს 11 საათისა დაიწყეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აგრესია რუსეთის მხრიდან არ დაწყებულა, მან იმოქმედა საპასუხოდ. იმხანად თბილისში მყოფი გერმანიის გენშტაბის პოლკოვნიკი ვოლფგანგ რიხტერი აცხადებდა, რომ ქართული ოფიციოზი იტყუებოდა, მან ვერ მოიპოვა ვერცერთი მტკიცებულება იმისა, რომ სააკაშვილმა მხოლოდ მას შემდეგ გასცა ბრძანება, რაც რუსეთის სამხედრო ნაწილები როკის გვირაბისკენ დაიძრნენ.

„ლა მონდი“ (ფრანგული გაზეთია და მიაფარეთ მაკრონს სახეზე!) ხაზგასმით წერდა და ერიკ ფურნიეს სიტყვები მოჰყავდა არგუმენტად, რომელმაც თქვა, რომ 8 აგვისტომდე არავის უხსენებია რუსეთის ტანკები; რომ ქართველებს არ დაურეკავთ ევროპელი მოკავშირეებისთვის, რომ რუსეთი თავს დაესხათ...

მოგვიანებით, 10 ნოემბერს, გაზეთები: **„ბიზნესს უიიქი“, „ნიუ-იორკ თაიმსი“** და **„ბოსტონ კლუბი“** ერთმანეთის მიყოლებით წერდნენ, რომ ევროკავშირის დამკვირვებლები, რომლებიც სამაჩაბლოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ 7-8 აგვისტოს, ამბობენ, რომ ისინი ხედავდნენ, როგორ ჭრიდა ქართული არტილერია და სარაკეტი დანადგარები სამხრეთ ოსეთის საზღვარს ჯერ კიდევ 7 აგვისტოს დღის 3 საათზე, ბევრად ადრე, სანამ პირველი რუსული სამხედრო კოლონა შევიდოდა ანკლავის ტერიტორიაზე...

კი, ბატონო, იძახონ 7 აგვისტო, აღიარონ, რომ ომის პროვოცირება თვითონ მოაწყვეს, ამ უსამშობლო, მსოფლიოს ყველა ქვეყნის აგენტებმა...

შეძახილი ფილმიდან „08.08.08 — წყევლა სააკაშვილისა!“: „წყეულიმც იყოს სააკაშვილი!“

მაია ჯელიძე

კელი დეგნანის დირიჟორობით დაწყებული ოპერა „არა რუსულ რაღაც-რუღაცებს“ - გრძელდება

3 გვ.

ლება“, ახლა ყველაფერს იკადრებენ და არ გამიკვირდება, ხვალ რომ ნიკა გვარამია გამოვიდეს და გლობალური ომის პარტიაც დაგმოს, რაზეც აქამდე ვითომ ქილიკობდნენ!

– ბატონო ზურაბ, ბიძინა ივანიშვილზე შეტევა გრძელდება. არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით კიდევ რას შეიძლება ველოდოთ რადიკალების მხრიდან?

- ეს არის მცდელობა, რომ, რაც შეიძლება მაქსიმალური რეპუტაციული ზიანი მიაყენონ და ფსიქოლოგიური ტერორი მოახდინონ ამ ადამიანზე. სასაცილოა, როცა საუბრობენ იმაზე, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილი რას იტყვის, ამას მნიშვნელობა არა აქვს. სინამდვილეში, ყველამ კარგად იცის, რომ ბიძინა ივანიშვილს ისეთი ჭარბი ნდობა აქვს საზოგადოების მხრიდან, თავისი პირუთვნელი ქველმოქმედებიდან გამომდინარე, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე, რომ ამ ადამიანის დისკრედიტაცია ქვეყნის მტრების მხრიდან მარტივი ნამდვილად არ იქნება! ამიტომ არის გამალებული შეტევა მის წინააღმდეგ.

ახლა დაიწყეს ლაპარაკი იმაზე, თითქოს ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე თვის წინ რუსეთში ქონება შეიძინა. არადა, დეკლარაციაშიც აქვს ბატონ ბიძინას დაფიქსირებული, რომ 1998 წლის შემდეგ, გოჯის ნაგლეჯი არ შეუსყიდია რუსეთის ტერიტორიაზე და მისი ოჯახის წევრები 90-იანი წლების შემდეგ ნამყოფიც არ არიან იმ ქვეყანაში. ეს მათაც ძალიან კარგად იციან, თუმცა, ამ კამპანიაში ჩართულია ფონდი „ღია საზოგადოება“ (სოროსის ფონდი), აშშ-ის „საერთაშორისო განვითარების სააგენტო“ (USAID), „ამერიკის დემოკრატიის ეროვნული ფონდი“ (NED), შვედეთის „საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო“ (SIDA) - დღეს ეს ორგანიზაციები აფინანსებენ სპეკულაციას და ფეიკ-გამოძიებას ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. რუსული თემის შემოთრევა აპრობირებული მეთოდია მათი მხრიდან. „არა რუსული კანონისა“ არ იყოს, აქაც მარტივი პრიმიტიული გათვლა აქვთ - საზოგადოება შეიყვანონ შეცდომაში და პოლარიზაცია გაზარდონ, თუმცა, იმდენად გაუხუნდათ „ნარატივი“, რომ მაქსიმუმ, „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი ააფორიაქონ ამ ბინძური სპეკულაციით.

მოკლედ, კელი დეგნანის დირიჟორობით დაწყებული ოპერა - „არა რუსულ რაღაც-რუღაცებს“ გრძელდება და არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კულმინაციას მიაღწევს, მხოლოდ ის იქნება მათი უბედურება, რომ პარტერში „ნაციონალური მოძრაობის“ მეტი მსმენელი აღარ დარჩებათ!

ამ ყველაფერს კომპლექსურად უნდა შევხედოთ და არა ლოკალურად. მომართულია „გლობალური ომის პარტია“ და მაქსიმალურად ცდილობს, აწარმოოს ბრძოლა ყველა ფრონტზე - ეს იქნება მედიაფრონტი თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფრონტი. იმიტომ არის მათთვის გადაულახავი ბარიერი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, რომ ეს ადამიანი არ ემორჩილება არც საერთაშორისო სანქციებს, არც საერთაშორისო მუქარებს, არც ადგილობრივ შემოტევებს და აქვს კონკრეტული გეგმა იმისათვის, რომ ქვეყანა სამშვიდობოს გაიყვანოს, რაც არაერთხელ დაამტკიცა თავისი ქველმოქმედებით, საქმიანობით და თავისი მამულიშვილობით! ამიტომ არის ამ ადამიანის მიმართ განსაკუთრებული შეტევა ფეიკკამპანიების, ფსიქოლოგიური ტერორის გამოყენებით, თუ თუნდაც ფიზიკური ლიკვიდაციის მცდელობით! მთელი მათი პოლიტიკური სწორება მიმართულია ნეგატივზე, უბედურებაზე, ნგრევაზე, ომზე, მკვლელობაზე, ჩაგვრაზე... ეს ადამიანები ოპონირებენ იმისათვის, რომ როგორღაც დაუმტკიცონ საზოგადოებას, თითქოს ისინი ნაკლებად ცუდები არიან, ვიდრე ხელისუფლება და ამიტომაც საზოგადოებამ ისინი უნდა აირჩიოს.

რეალურად კი ზემოთჩამოთვლილი „სიკეთეების“ გარდა, რადიკალებს არ გააჩნიათ არანაირი პოლიტიკური გეგმა და არანაირი სოციალური მოდელი თუ პროექტი, თუ რის გაკეთებას აპირებენ პოლიტიკაში მოსვლის შემთხვევაში. მაქსიმალურად ცდილობენ, იარსებონ დარჩენილი რესურსით, თუნდაც კეზერაშვილის რესურსებით, საერთაშორისო თანამეგობრებიდან გადმოყოლილი კომუნიკაციებით... სწორედ იმიტომ არის საჭირო ნაციონალური რეჟიმის სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება, რომ ამ ადამიანებს პოლიტიკაში ყოფნის მორალური პლაცდარმი მოეხსნათ, რათა მომავალში პოლიტიკას ახლოს ვეღარ გაეკარონ, რადგან, თუ არ არის სამართლიანობა - არ არის მშვიდობა!

ნონა ქარქაშაძე

რუსეთს აქვს პოტენციალი, ომი ისე გააგრძელოს, რომ პოლიტიკურად დიდად არ დაზარალდეს

რუსეთსა და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი.

- ბატონო ლევან, კურსკში რუსებსა და უკრაინელებს შორის შეტაკებები გრძელდება. როგორც შიდა წყაროებიდან ხდება ცნობილი, რუსული თავდაცვის ზღუდეები გარღვეულია და თავდაცვის მეორე ხაზი გადალახულია... რას ნიშნავს ეს ყველაფერი, რეალურად დაწინაურდა უკრაინა?

-ეს არ არის ის ოპერაცია, რომელმაც უკრაინას წარმატება შეიძლება მოუტანოს. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ მოლაპარაკებები უნდა დაწყებულიყო, თუმცა, მოულოდნელად ისე მოხდა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება, უკრაინას შეტევა განეხორციელებინა რუსეთის ტერიტორიაზე. ეს საკითხი ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ: პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. სამხედრო თვალსაზრისით ეს არის ერთგვარი მანევრი, რის საშუალებითაც მოწინააღმდეგეს ყურადღება გადააქვს ერთიდან მეორე მიმართულებისკენ. ამ შემთხვევაში, რუსეთმა გარკვეული ძალები უნდა გადაისროლოს (და გადაისროლა კიდევაც) კურსკში უკრაინის ფრონტიდან და სხვა საფრთხეზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. სამხედრო თვალსაზრისით, ამას აქვს გამართლება იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა კურსკში თავისი პოზიციების გამაგრებას შეძლებს. ერთია, რომ შეიძლება შეტევა განახორციელო და ამ შეტევისას გარკვეული უპირატესობა მოიპოვო, მაგრამ მეორეა, რომ ეს უპირატესობა შეინარჩუნო. თუ ვერ შეინარჩუნებ, მაშინ კიდევ ერთი გამართლება შეიძლება ჰქონდეს ამ შეტევას, დროის მოგების თვალსაზრისით. თუმცა, საბოლოო ჯამში, თუკი უკრაინა ვერ შეძლებს კურსკში თავისი პოზიციების გამაგრებას, მაშინ ორი გამოსავალია: ან უკან უნდა დაიხიონ ამ ძალებმა, ან უკან არ იხევენ, განადგურება ელით და ის ხალხი განწირულია, რაც არანაირად არ ამართლებს თავდაპირველად დასახულ მიზანს. მეორე პოლიტიკური დანიშნულებაა — ვიღაცებს არ სურთ, რომ მოლაპარაკება დაიწყოს და ამის გამო გააკეთეს ეს ყველაფერი, მაგრამ ვის აძლევს ეს მეტ მოგებას, რუსეთს თუ უკრაინას? ყველაზე მეტად დაზარალებული მაინც უკრაინა გამოდის, რადგან ომი ისევ გაგრძელდება, რუსებმა კი შეიძლება თქვან უარი მოლაპარაკებების დაწყებაზე და საბრძოლო მოქმედებები გაახანგრძლივონ... მიუხედავად იმისა, თუ რა სახის ინფორმაციას ვისმენთ, რუსეთს აქვს პოტენცია, ომი ისე გააგრძელოს, რომ პოლიტიკურად მაინცდამაინც დიდად არ დაზარალდეს. დიდი ხანია, რაც რუსეთი თითქოს პოლიტიკურ იზოლაციაშია, თუმცა, სანქციები მასზე არ მოქმედებს. ამ სანქციების ფონზე რუსეთთან მაინც გამალებული ვაჭრობას განაგრძობენ დასავლეთის ქვეყნები. ასე რომ, ეს არის ფარსი!

გარდა ამისა, როდესაც დასავლეთმა უკრაინას აღჭურვილობა და იარაღი გადასცა, მათ ჰქონდათ შემდეგი პირობა, რომ ეს იარაღი მხოლოდ უკრაინის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გამოყენებული თავდაცვის მიზნით. ამჯერად კი ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინა უკვე რუსეთის ტერიტორიაზე იყენებს ამას, რაც კიდევ ერთ კოზირს აძლევს პუტინს იმისათვის, რომ მოლაპარაკება არ დაიწყოს. ანუ ისევ უკრაინა ზარალდება. ამ ყველაფრის გამო, გარკვეული მოგება აქვთ, რა თქმა უნდა, ომის გაგრძელების მოსურნე დაჯგუფებებს, რომლებსაც, მიზეზთა გამო, არ სურთ ომის დასრულება.

- მაინც, რა მოხდა, მოლაპარაკების დაწყების მოლოდინში რატომ გადაწყვიტა ზელენსკიმ რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების გადატანა?

- ვინმეს სჯერა, რომ ზელენსკი თავისი ნებით ამ ავანტურას წამოიწყებდა?! ჯერ კიდევ ტალახი და ქვიშა არ შეშრობოდა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის, დიმიტრო კულებას ვიზიტს და თხოვნას ჩინეთში, სადაც იქაურ ლიდერებს რუსეთთან შუამავლობას სთხოვდა მოლაპარაკებების დაწყებისა და ომის დასრულების შესახებ, რომ მოულოდნელად უკრაინული სამხედრო ქვედანაყოფები კურსკის ოლქში შეიჭრნენ. ვერ ვიტყვით, რომ კულებას ჩინეთში ვიზიტი წარუმატებელი გახლდათ, რადგანაც მას მომენტალურად მოჰყვა პრეზიდენტ ზელენსკის დადებითი და იმედიანი გამოხმაურებები. მანამდე რამდენიმე დღით ადრე კი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი ბორის ჯონსონიც სწორედ ჩინეთს მიიჩნევდა განადგურების პირას მყოფი უკრაინის გადარჩენის გზად.

სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა რამდენიმე მიზეზის გამო: ერთ-ერთი ვერსიით, უკრაინას უკვე რუსეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების განხორციელების სურვილი გაუჩნდა, რათა მომავალი მოლაპარაკების დროს მასაც ეჭიროს ხელში გარკვეული კოზირი, რაც პირადად მე გადაჭარბებულად მიმაჩნია, თუმცა არ არის გამორიცხული. ერთ-ერთი ვერსიით, საბრძოლო მოქმედებების რუსეთის ტერიტორიაზე გადატანა ხელს აძლევს რუსეთს, რომ არათუ არ დაჯდეს მოლაპარაკებების მაგიდასთან, არამედ ჯერ გაანადგუროს უკრაინელი მებრძოლები კურსკში და შემდეგ კიდევ უფრო გაახანგრძლივოს სამხედრო მოქმედებები უკრაინაში. ამ ყველაფრის შემდეგ კი რუსეთთან მოლაპარაკების გამართვა უფრო და უფრო გართულდება;

თუ ვინმეს ჰგონია, რომ „კურსკის ოპერაციით“ პუტინს იმიჯი შეილახა, ან მისი ხელისუფლების სისუსტე გამოვლინდა, ცდება. ასე ეგონათ „პრიგოჟინის მარშის“ დროსაც, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, პრიგოჟინმა ხელ-ფეხი გაუხსნა რუსეთის ლიდერს ერთგული ადამიანების დასასჯელად; გარდა ამისა, არსებობს ვარაუდი, რომ დაჯგუფებამ, რომელსაც არანაირად არ აძლევს ხელს რუსეთ-უკრაინის ომის დასრულება, უკრაინის ხელისუფლებას აბსოლუტურად შეგნებულად უბიძგა, ან პირდაპირ აიძულა, შეჭრილიყო კურსკის ოლქში.

ახლო მომავალში პროცესები მაინც იქითკენ წავა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი უნდა დასრულდეს, რისი მომხრე და აქტიური პროპაგანდისტიც აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპია. ამ შემთხვევაში ეჭვი ჩნდება, რომ არა მარტო ტრამპის მოწინააღმდეგე ძალებს, არამედ ომის მოსურნეებს სურთ, მაქსიმალური სარგებელი ნახონ, სანამ ტრამპი გაიმარჯვებს; მსოფლიო სტაბილურობის და არეულობის სხვა სცენარებიც ვერ მუშაობს ისე ეფექტიანად, როგორც ფიქრობდნენ. ირან-ისრაელის ომი ჯერჯერობით არ დაწყებულა, არც სხვაგან ჩანს ახალი შეიარაღებული დაპირისპირების კონტურები. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისრაელ-„ჰამასის“, ისრაელ-„ჰეზბოლას“ და რუსეთ-უკრაინის ომების გახანგრძლივებაც იძლევა ცხელი კერების შენარჩუნებისა და სამხედრო მრეწველობის მესვეურთა კიდევ უფრო გამდიდრების საშუალებას.

ამის გარდა, კიდევ ერთი საფრთხეა, რომელმაც შეიძლება არა საერთაშორისო, არამედ ლოკალური მასშტაბის დაპირისპირება გამოიწვიოს. ეს გახლავთ ცალკეული ქვეყნების საშინაო საქმეებში, კერძოდ, არჩევნებში ჩარევის მცდელობა გარე ძალების მიერ. ამის არათუ კონტურებს ვხედავთ უკვე, არამედ ვხედავთ, რომ პირდაპირ ფსონია დადებული რადიკალური და უცხო ქვეყნების უღირს პოლიტიკანებთან.

ახლა კიდევ ერთი მომენტია, რომ ბელორუსის ტერიტორიაზე ჩამოცვივდა ბომბები და მანაც გააკეთა განცხადებები. რაც ნიშნავს იმას, რომ თუ ბელორუსიც ჩაერთო ამ ომში, არა მგონია, სახარბიელო სიტუაცია შეიქმნას. ეს ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, რომ ტრამპმა ვერ შეძლოს ომის შეჩერება, როცა პრეზიდენტი გახდება. თუმცა, ტრამპი ამ ომს აუცილებლად შეაჩერებს, რადგან მას პრიორიტეტად სხვა საქმეები მიაჩნია. ერთი, ეს არის, რომ 5 ნოემბერს არის აშშ-ში არჩევნები, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში, დონალდ ტრამპი 20 იანვრამდე მაინც ვერ შევა ოვალურ კაბინეტში. იანვრის ბოლომდე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად ვერ დაიწყებს და ეს არ არის პატარა დრო იმისთვის, რომ გარკვეულმა ძალებმა ახალი არეულობები შემოიტანონ და მეტი ფინანსური თუ პოლიტიკური სარგებელი ნახონ.

- როგორც ვხედავთ, ამდენი მსხვერპლი მხოლოდ და მხოლოდ დიდი პოლიტიკური ავანტიურის შედეგია. მაინც, როდის უწერია ამ ომს დასრულება?

- ომის დასრულება ხელს არ აძლევთ, რადგან ამ ომში დიდი ფული კეთდება და საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკური სარგებელიც აქვთ კონკრეტულ ადამიანებს. ომი ხომ უკიდურესი ფორმაა პოლიტიკური შეთანხმების მისაღწევად და როდესაც დიდი პოლიტიკის მესვეურები ამ უკიდურესობას მიმართავენ, მათ არ აღელვებთ, უბრალო ადამიანები დაიხოცებიან, თუ ქვეყნები შეეწირება მათ მიზნებს, რადგან „დიდი გეგმები“ აქვთ განსახორციელებელი. თქვენ ნახავთ, რომ, როდესაც ომი რომ დასრულდება, უკვე დაიწყება მეორე დიდი ბრძოლა ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. უკრაინის ქალაქების აღსადგენად დიდი თანხები გამოიყოფა და, ალბათ, უკვე განაწილებული აქვთ საქმეები, ვინ რომელი ქალაქი უნდა ააშენოს და როგორ მიიღოს კიდევ მილიარდობით ფინანსური სარგებელი ამ ყველაფრისგან. ჩვენ გავხდებით მოწმე, თუ როგორი კონკურენცია წავა, რომელი ფირმები ჩაერთვებიან ამ საქმეში, როგორ ამუშავდება მაფია და ასე შემდეგ. მაფიას რომ არ დაესიზმრება, ნამდვილად ისეთ თანხებზეა აქ საუბარი.

ამ დაუნდობელი პოლიტიკური თამაშების ფონზე, მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ჩვენმა ქვეყანამ, ფაქტობრივად, ყველა სახის უბედურება და განსაცდელი გამოიარა. არც გარე ძალების მიერ თავს მოხვეული ხელისუფლებებია ჩვენთვის უცხო. თუმცა თავად სიტუაცია ამჯერად აბსოლუტურად განსხვავებულია, ჩვენი ხალხი ასე ადვილად არ შეეგუება არც მშვიდობის დათმობას, არც ღირსების აყრას და არც სხვისი კარნახითა და შანტაჟით ცხოვრებას. მთავარი შეცდომა, რასაც უცხოელები ჩვენთან მიმართებაში უშვებენ, ის არის, რომ მათ არ იციან ჩვენი ხალხის ბუნება, ჩვენი დამოკიდებულება ქვეყნისა და უფლის მიმართ... ისინი “უსამშობლოებზე” დაყრდნობით მოქმედებენ საქართველოსთან მიმართებაში, რაც მხოლოდ კრახის მომტანი იქნება და ე. წ. მეგობრებთან კიდევ უფრო დაშორების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

ნონა ქარქაშაძე



მთელი ის პოლიტიკური ძალა უნდა გასამართლდეს, რომელმაც ეს გლობალური ომი საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვა

გვესაუბრება საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი თამარ კიკნაძე:

— ქალბატონო თამარ, უკრაინამ კურსკის ნაწილზე კონტროლი მოიპოვა. ომი ახალ ფაზაში გადავიდა. როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?

— კურსკში შესვლა წმინდა წყლის პროვოკაცია გახლავთ, რადგან ქალაქ სუჯაში მდებარეობს გაზის საზომი სადგური, რომელიც მნიშვნელოვანი სასაზღვრო ობიექტია რუსული გაზის ევროპაში ტრანსპორტირებისთვის. ეს სადგური „დრუჟბას“ გაზსადენის ნაწილია და ურენგოის გაზის საბადოდან იკვებება. იგი უკრაინის გავლით სლოვაკეთში გადის და ორი მიმართულებით იყოფა, ევროპის ქვეყნებს ამარაგებს. ეს გაზსადენი ომამდე დასავლეთში გაზის ტრანსპორტირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მარშრუტი იყო და ასეც რჩება. უკრაინაში არიან ძალები, რომლებიც გაზის ტრანზიტს მხარს უჭერენ. თუმცა ამას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, ვისაც მიაჩნია, რომ ევროპაში რუსული გაზი არ უნდა გავიდეს. მეორე მხრივ, რუსებიც დიდი დილემის წინაშე არიან, თუ როგორ მოიქცნენ — ყურადღება არ მიაქციონ გაზსადენს და საომარი მოქმედებები აწარმოონ, თუ წერტილოვანი დარტყმები განახორციელონ. ამ მხრივ რთული ვითარებაა. ჩემი აზრით, ამ პროვოკაციის მოწყობაში მხოლოდ უკრაინელების წვლილი არ არის. ომის დასრულება მშვიდობიან მოლაპარაკებებზე იყო გათვლილი. ამჯერად, ამ საკითხზე სავაჭროდ უკრაინელები უფრო მომგებიან პოზიციაში არიან, ვიდრე მანამდე იყვნენ.

ასე რომ, კურსკზე განხორციელებულ შეტევას სხვა დატვირთვაც აქვს. ჩვენი ოპოზიცია, უფრო ზუსტად, უცხო ქვეყნის აგენტები საუბრობენ, რომ ომი უკრაინის გამარჯვებით დასრულდება. ზოგადად, ოპოზიციას საქართველოს ინტერესებით მოქმედ ძალად ვერ განვიხილავ. ხომ გვახსოვს, რომ იძახდნენ, აფხაზეთი და ოსეთი ომით დავიბრუნოთო. ისინი საქართველოში გლობალური ომის პარტიის წარმომადგენლები არიან.

საქმე, შესაძლოა, ბირთვული იარაღის ლოკალურად გამოყენებამდეც მივიდეს. ვფიქრობ, ეს უფრო უკრაინის ტერიტორიაზე მოხდება, ვიდრე რუსეთისა, რადგან უკრაინის ტერიტორიაზე კოლექტიურ დასავლეთს საფუძველი ექნება, ეს ყველაფერი რუსებს დააბრალოს. პროვოკაციები იქნება.

— როგორ ფიქრობთ, უკრაინა მოსკოვზე შეტევის განხორციელებაზე წავა?

— არ მგონია, მოსკოვს შეუტიონ. რუსეთი ასეთ შეტევას მარტივად გაუმკლავდება.

— თუ უკრაინა ამ ომში წარმატებას მიაღწევს, ეს საქართველოზე რა გავლენას მოახდენს?

— გასაგებია, რომ კოლექტიური დასავლეთი ეომება რუსეთს, მაგრამ ბისმარკი ამბობდა, როცა გგონია, რომ რუსეთს აღარაფერი ეშველება, სწორედ მაშინ მოიქნევს კუდს და გადარჩებაო. იმ აზრს არ ვუშვებ, თითქოს შესაძლებელია, ამ ომში უკრაინამ რუსეთს მოუგოს. დიახ, უკრაინას არ აქვს იმდენი ძალა, რომ რუსეთი დაამარცხოს. არც ჯარისკაცები ჰყავთ იმდენი, რომ რუსეთის არმიას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ. ეს შეტევა კოლექტიური დასავლეთის ერთობლივი მცდელობაა. მოგეხსენებათ, რომ უკრაინა პროქსი ქვეყანაა.

თავიდანვე წამგებიანი პოზიციაა ის, რომ ომი უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ქვეყანა აღარ არსებობს, 20 მილიონი მოსახლე დარჩა. ახალგაზრდა თაობის სახით, გენოფონდი იღუპება. მასმედია როგორ წარმოაჩენს ამ მოვლენას, ეს ცალკე საკითხია. ასე რომ, უკრაინის საქმე არცთუ ისე კარგადაა, როგორც ამას მავანი გვიხატავს. ვიმეორებ, რუსეთის დამარცხებას გამოვრიცხავ. რის ფასად უწევს უკრაინა რუსეთს წინააღმდეგობას, ესეც ხომ გასათვალისწინებელია.

რუსეთ-უკრაინის ომი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების შემადგენელი ნაწილია. იმასაც ხომ გააჩნია, როგორი დასასრული ექნება ამ ყველაფერს. როდესაც წესები დადგენილია, ეს ყოველთვის კარგია, რადგან მაშინ ის კატაკლიზმები არ ხდება, რაც დღეს სახეზეა. კისინჯერი ამბობდა: როდესაც მსოფლიოში ბალანსი არ არის, ბუნებრივია, ის ამის დაცვისკენ მიისწრაფვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი ანარქია კარგი არავისთვისაა. ამ ომის პარალელურად, პოლიტიკური ვაჭრობა მიმდინარეობს, იგივე, ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით. დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორ დასრულდება აშშ-ის არჩევნები, რადგან იქაც რაც ხდება, ყოველივე ელიტების განხეთქილების მაჩვენებელია. მნიშვნელოვანია, ვინ მოვა აშშ-ის სათავეში. „დემოკრატები“ ცდილობენ, დღეს არსებული ფინანსური, პოლიტიკური რეჟიმი შეინარჩუნონ. სჯობს, ეს დამოკიდებულება შეცვალონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრად მტკივნეული პროცესები წავა.

— თქვენ ახსენეთ, მნიშვნელოვანია, ვინ მოვა ამერიკის სათავეშიო. ტრამპი აცხადებს, ჩემი არჩევის შემთხვევაში, ომს მეორე დღესვე დავამთავრებო.

— ტრამპი ამერიკელებს ჰპირდება, ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ამერიკა კვლავ დიადი გახდებაო. მაგრამ ამ კუთხით მთელი რიგი საფრთხეები იჩენს თავს. მაგალითად, საყურადღებო იქნება მისი დამოკიდებულება ისრაელის, ირანის, ჩინეთის მიმართ, რაც მშვიდობის დამყარებისკენ არ არის მიმართული. ჩინეთთან კონფრონტაცია სწორედ ტრამპის დროს დაიწყო. ისრაელს რაც შეეხება, „დემოკრატების“ თვალსაზრისით, ეს პროექტი ამოწურულია. ტრამპი კი მკვეთრად პროისრაელისტი პოლიტიკოსია. მას ნეთანიაჰუსთან პირადი მეგობრობა აკავშირებს. რამდენიმე დღის წინ, ამერიკის დელეგაცია, მომხდარ ტერაქტებთან დაკავშირებით, ირანში ჩავიდა. წარმოიდგენდით, რომ ამერიკული დელეგაცია ოდესმე ირანში ჩავიდოდა?! ამერიკელი დემოკრატები გლობალურ ომთან დაკავშირებულ საფრთხეს გრძნობენ. ეს ომი არც აშშ-ს უნდა და არც ირანს. ამიტომ ცდილობენ, კონფრონტაციის განეიტრალება მოლაპარაკების გზით მოხდეს. ყველაზე მეტად ეს ნეთანიაჰუს და მის უკან მდგომ ძალებს აწყობთ. როგორც ამბობენ, მათ უკან ინგლისელები დგანან.

დამკვიდრდება თუ არა ტრამპის მოსვლის მერე საყოველთაო მშვიდობა, არავინ იცის. ერთადერთი, რაც ჩემთვის მისაღებია, ეს ტრამპის სოციალური დოქტრინა, გენდერული პოლიტიკაა. ახლახან პარადოქსია, მაგრამ მშვიდობის ნობელის პრემია გადაეცა ბარაკ ობამას, რომლის დროსაც უამრავი ფერადი რევოლუცია, საომარი მოქმედებები განხორციელდა. კამალა ჰარისის კანდიდატად წარდგენამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ტრამპი გაიმარჯვებდა, მაგრამ ახლა ასეთი დარწმუნებული აღარ ვარ. იმიტომ არა, თითქოს ჰარისი იყოს რაიმეთი გამორჩეული, ასე მის უკან მდგომი ძალებიდან გამომდინარე ვფიქრობ.

— კობახიძე ამერიკასთან გადატვირთვის პოლიტიკაზე საუბრობს. როგორ გესახებათ ყოველივე?

— ზოგადად, ბევრი რამ ამერიკაშიც და მსოფლიოშიც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დამთავრდება რუსეთ-უკრაინის ომი. თავად ამერიკაშიც დიდი გაურკვევლობაა. ელიტები, ვინც აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატების უკან დგანან, ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ არიან. ამიტომ დღეს მსოფლიო გაურკვევლობაშია.

— ზახაროვამ განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის, თბილისს, ცხინვალსა და სოხუმს შორის დიალოგს ხელი შეუწყოს...

— დადგა მომენტი, როცა ყოველგვარი ომის გარეშე, ამ მნიშვნელოვან საკითხზე რუსეთთან დიალოგი უნდა ვაწარმოოთ. ევროპაში ვიყავი. ჩემთვის ევროპელი ყველაზე მისაღები ანტროპოლოგიური ტიპია. ჩვენ ევროპულ კულტურაზე, ფასეულობებზე ვართ დაფუძნებული და ამიტომაც გვინდოდა ევროპა. მაგრამ ის ევროპა, რომლის ოჯახის წევრიც გვინდა ვიყოთ, აღარ არსებობს. საყოველთაო ფაქტია, რომ მსოფლიოში თეთრი მოსახლეობა ძალიან მცირდება. ეს მტკივნეულია. ამიტომ ტრამპი ამას თუ შეცვლის, დიდი მონაპოვარი იქნება. ყველა დირექტივა აშშ-იდან მოდის. ამ მხრივ ტრამპის პოლიტიკა მისაღებია. მაგრამ გარანტია, რომ ტრამპის მოსვლის შემთხვევაში მსოფლიოში მშვიდობა იქნება, არ არსებობს. თუმცა, ერთი რამ უდავოა — ტრამპის პრეზიდენტობისას საომარი მოქმედებები არ ყოფილა. ნიერულ დონეზე იქნას გათვლილი და მოდელირებული.

— თავად აფხაზები თუ არიან მზად ჩვენთან ურთიერთობის აღსადგენად?

— მათი ელიტის გარკვეული ნაწილი ასე დამოუკიდებლად ყოფნით გარკვეულ სარგებელს იღებს და, ბუნებრივია, ურთიერთობის აღდგენით დაინტერესებული არ არის. მოდი, რეალურად ვთქვათ: აფხაზების საქმეც არ არის მთლად სახარბიელოდ. ეს მცირერიცხოვანი ერია და მისი დემოგრაფიული მონცემები უფრო და უფრო უარესდება. ამიტომ მათ ისეთი ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა უნდა შესთავაზო, რაც მათთვის სარგებლის მომტანი იქნება.

— აგვისტოს ომიდან თექვსმეტი წელი გავიდა. ამ გადმოსახედიდან როგორ შეაფასებთ მომხდარს?

— ამ ომს, როგორც რუსეთ-საქართველოს ომს, ასე არასდროს განვიხილავდი. გერმანიაში 2007 წელს პუტინის მიერ გაკეთებული განცხადების მერე, ცხადი გახდა, რომ რუსეთს გლობალური ამბიციები ჰქონდა. ეს გლობალური ომი იყო ისევე, როგორც უკრაინისა, რომელიც სინამდვილეში, დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს. 2008 წელსაც ასე იყო, უბრალოდ, ეს ომი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. საქართველომ ისეთი პროექტი უნდა შესთავაზოს, რომელშიც ყველა მხარის ინტერესი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. ორიენტაცია მშვიდობის დამყარებაზე უნდა ავიღოთ. საქართველოს, მიუხედავად იმისა რომ პატარა ქვეყანაა, საკვანძო როლი აკისრია. ამიტომ, როგორ ჭკვიანურ, პრაგმატულ პოლიტიკას აწარმოებს, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ აფხაზეთი და ოსეთი დავიბრუნოთ. მერე ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ პოლიტიკას განვახორციელებთ — ინტეგრაციულს თუ დეზინტეგრაციულს. ამიტომ, ხელისუფლებაში პრაგმატულად მოაზროვნე ხალხი უნდა იყოს, რათა ყველაფერი მეცჩვენ, მაშინ ღმერთმა დაგვიფარა — ჯერ ერთი, პატარა ქვეყანა ვართ და თანაც, სააკაშვილის სიმხდალემაც გვიშველა, რომ ომი გლობალურ მასშტაბებში არ გადაიზარდა.

ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება გასამართლდება. აბსოლუტურად ვეთანხმები, მთელი ის პოლიტიკური ძალა უნდა გასამართლდეს, რომელმაც ეს გლობალური ომი საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვა. სულ მცირე, პოლიტიკური შეფასებები მაინც უნდა გაკეთდეს, რათა არცერთმა ხელისუფლებამ მსგავსი რამ არ დაუშვას და საქართველო ასეთ გლობალურ თამაშებში მონაწილეობისთვის არ გაწიროს.

თამარ შველიძე

პირველ რიგში, მინდა ყველა ოლიმპიელს მივულოცო ოლიმპიადაზე წარმატებული ასპარეზობა, გასაკუთრებით, ლაშა ტალახაძეს, რომელიც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ასევე, გენო პეტრიაშვილს ვულოცავ დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებულ დიდ გამარჯვებას. დასანანია მაჭარაშვილის მარცხი, თუმცა ოლიმპიური ვერცხლიც არ არის ცუდი შედეგი. ზოგადად, ჩვენს ოლიმპიურ გუნდს ვულოცავ მიღწეულ შედეგებს. საწყენი ის არის, რომ წლებია, შედეგი ვერ გავაუმჯობესეთ. 2008 წელსაც სამი ოქრო მოვიპოვეთ, ანუ, არაფერი შეცვლილა. დროა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობა გადახალისდეს. შეიძლება, ერთ დროს კარგი სპორტსმენი იყავი, მაგრამ ეს კარგ მენეჯერობას როდი ნიშნავს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტერვიუს 11 აგვისტოს ვწერთ. ეს შინდისში დაღუპული გმირების ხსოვნის თარიღია. უმძიმესი დღეა და მინდა, ყველას მივუსამძიმრო, ვინც ტერიტორიული მთლიანობისა თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის სისხლი დაღვარა, თავი გასწირა. დიდება გმირებს!

ბაიდენი არც წერილის დამწერია და არც წამკითხველი

გვესაუბრება საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსის“ დამფუძნებელი მირიან ჟარაულაშვილი:

— ბატონო მირიან, წინა კვირას ოპოზიციური სატელევიზიო არხები აქტიურად აშუქებდნენ ინფორმაციას ბიძინა ივანიშვილის ქონების შესახებ, რომელიც მას მოსკოვში „აღმოუჩინეს“...

— ამ მძიმე კვირაში პოლიტიკურ პროცესებზე საუბარი რთულია. ნამდვილად არ ვიცი, ბიძინა ივანიშვილი რა ქონებას ფლობს. უბრალოდ, საფუძველი არ გამაჩნია, ოფიციალურად გამოქვეყნებულ მონაცემებს არ ვენდო. საჯარო სამსახურში მყოფი ყველა პირი სავალდებულო დეკლარაციას ავსებს. 2012 წელს, პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნისას, ივანიშვილმა დეკლარაცია შეავსო, ასევე, თანამდებობის დატოვების შემდგომაც და ყველა ქონება იქ უნდა იყოს აღნუსხული. ოპოზიციური არხები პროვოკაციაზე წასვლას ყველა ხერხით ცდილობენ. მედიასივრცის დიდი ნაწილი სწორედ მათ დაიკავეს. ხელისუფლების მხარდამჭერი არხები თითზე ჩამოსათვლელია. საფუძველს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა დავიჯერო, რომ ივანიშვილს დეკლარაციაში ყველაფერი აღნუსხული აქვს. თავის დროზე დეკლარაციას მეც ვავსებდი და სიყალბის დაწერა გულში არასდროს გამივლია. საჯარო სამსახურის მომავალ მუშაკებს მინდა ვუთხრა: რაც მეტ ქონებას დაადეკლარირებთ, თქვენთვის მით მეტი ხეირი იქნება. საქმე ის არის, რომ 2 აგვისტოდან კანონი არჩევნების შესახებ ძალაში ოფიციალურად შევიდა და პარტიებმა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს. რა თქმა უნდა, მსგავსი პროვოკაციები, წინასაარჩევნოდ ბრძოლის ერთ-ერთი ხერხია. ამიტომ, ოპოზიციურ არხებზე გასული სიუჟეტები არც გამკვირვებია. მომავალში ე. წ. ოპოზიციის მხრიდან უფრო მძაფრ, ამორალურ ეპიზოდებსაც მოველი.

ივანიშვილს ჩემი ადვოკატობა ნამდვილად არ სჭირდება. მას ადვოკატების საკმაოდ კვალიფიციური ჯგუფი ჰყავს, რომელთაც საერთაშორისო დავებშიც არაერთი გამარჯვება მოიპოვეს. ასე რომ, მის ქონებაზე აჟიოტაჟის ატეხვა ჩვეულებრივი წინასაარჩევნო ტრიუკია. მიმაჩნია, რომ ეს წინასაარჩევნოდ ბინძური, ამორალური ბრძოლის დასაწყისია, რასაც არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ე. წ. ოპოზიცია აუცილებლად გაამძაფრებს.

— ასეთ ცილისმწამებლურ სიუჟეტებს, როგორც ირკვევა, ის დონორი ორგანიზაციები (სოროსის ფონდი, იუესაიდი, ამერიკის დემოკრატიის განვითარების ფონდი და სხვა) აფინანსებენ, რომლებიც ჩვენი ნჯო სექტორის „განვითარებას“ უწყობენ ხელს. ამითაც აშკარა ხდება, რატომ იყო გამჭვირვალობის კანონის მიღება საქართველოში აუცილებელი...

— კი ბატონო, გეთანხმებით. გამჭვირვალობის კანონი 20-25 წლის წინ რომ მიგვეღო, დღეს საქართველოს განვითარება სულ სხვა საფეხურზე იქნებოდა და 2003 წელს მომხდარი ე. წ. რევოლუცია მას ვერ შეაფერხებდა. რეალურად, ეს „ვარდების რევოლუცია“ კი არა, სამხედრო გადატრიალება იყო, რის შედეგადაც ქვეყნის სათავეში სააკაშვილის ხროვა და მისი უსინდისო მხარდამჭერების დიდი არმია მოვიდა. დიახ, გამჭვირვალობის კანონი ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს რომ მიეღოთ, ეს ბაკქანალია, რაც დღემდე შემორჩა, აღარ იქნებოდა. ამ ორგანიზაციებს რაც შეეხება, ისინი ქართულ პოლიტიკურ სივრცეს დღესაც აბინძურებენ. ეს ნჯო-ები 90-იანი წლების ბოლოდან არსებობენ, რომლებიც სწორედ დონორმა ფონდებმა გააძლიერეს. შედეგად, მათ 2003 წელს ხელისუფლების ჩამოშლა უზრუნველყვეს. ასე რომ, გამჭვირვალობის კანონის მიღება დაგვიანებულიც კია. საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსს“ აქვს რუბრიკა „ხელოვნური ინტელექტი“, რომელმაც ქართული გამჭვირვალობის კანონი, რუსეთის მიერ მიღებული ე. წ. აგენტების კანონი და ამერიკული „ფარას“ კანონები ერთმანეთს შეადარა. ხელოვნურმა ინტელექტმა არგუმენტირებული დასკვნების სახით აღნიშნა, რომ ქართული კანონი გაცილებით ახლოს არის და ესადაგება ამერიკული კანონის სულისკვეთებას და მას რუსულ კანონთან საერთო არაფერი აქვს. მე ვიცი, როგორ მუშაობს ხელოვნური ინტელექტი, რა რესურსებს იყენებს, აქედან გამომდინარე, მისი ნამდვილად მჯერა.

— სამწუხაროდ, მედიაში ცრუ ინფორმაციის, ცილისწამების გავრცელებისთვის არავინ ისჯება. ცილს დაგწამებენ და მერე თავად უნდა ამტკიცო, რომ დამნაშავე არ ხარ...

— ჩემი აზრით, დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები საჭირო არ არის. დღევანდელი კანონმდებლობა — სამოქალაქო, საპროცესო კოდექსი, პიროვნების შეურაცხყოფის შემთხვევაში შესაბამის სანქციებს ითვალისწინებს. უბრალოდ, ეს კანონი არ მოქმედებს, მას იშვიათად მიმართავენ. ამ კანონს კარგად იყენებს კახა კალაძე. რამდენიმე პროცესი ტელეჟურნალისტებს კიდეც მოუგო. სხვა საქმეა, რამდენად ხდება მისი აღსრულება. ყველას მოვუწოდებ: ვინც ფიქრობს, რომ ცილი დასწამეს და მისი პიროვნული ავტორიტეტი შელახეს, სასამართლოს მიმართოს. რაც მეტი მსგავსი პროცესი გაიმართება, მით უკეთესი — ასე თანდათანობით ის ატმოსფერო — მედიასივრცე დაიწმინდება, რომელიც დღეს დაბინძურებულია ცილისწამებით და ჭორების გავრცელებით.

დღეს მოდაში შემოვიდა საჯარო მოხელეებისთვის თმენის ვალდებულების დაკისრება. რეალურად, ამის ვალდებულება არ არსებობს. აბა, მაჩვენოს ვინმემ კანონი, სადაც ჩაწერილია, რომ საჯარო მოხელეს თუკი დედას შეაგინებ, მან უნდა მოითმინოს, მადლობა გითხრას და რეაქცია არ ჰქონდეს. თმენის ვალდებულება ხელოვნურად ყურით მოთრეული საკითხია. დიახ, ეს სწორედ ამ ჭორის, სიბინძურის გამავრცელებლების მიერ შეთხზული მითია, რაც მერე საზოგადოებაშიც ააგორეს, რათა მავანმა დაიჯეროს, რომ ყველაფრის უფლება აქვს, ხოლო შეურაცხყოფილ ობიექტს უფლება არ აქვს, პირადად ან კანონის ძალით პასუხი გასცეს.

ივანიშვილს ვურჩევ, სასწრაფოდ შექმნას იურისტების სპეციალური ჯგუფი და შეურაცხყოფის მიმყენებლების წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს.

— ივანიშვილის მიმართ ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობის შესახებ სუს-მა გამოძიება დაიწყო...

— მოლოდინი მაქვს, რომ სუს-ი გამოძიებას ბოლომდე მიიყვანს და ის ადამიანები, ვინც ამ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ უმკაცრესად დაისჯებიან. ეს რაც მალე მოხდება, მით უკეთესი. ასი კაცი იქნება, სამასი თუ ათასი, ყველა უნდა დაისაჯოს. მათ მიმართ უმკაცრესი სასჯელის მომხრე ვარ. სუს-ის ინფორმაციით, კვალი უკრაინაში „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნებისკენ მიდის. ოპოზიცია და მათი მხარდამჭერები 27 ოქტომბრისთვის ემზადებიან, რათა ისევ ძველი, ნაცადი კამპანია ააგორონ, თითქოს, არჩევნები გაყალბდა და გამარჯვება მოპარეს... არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინაში მებრძოლი სპეციალიზებული ჯგუფები ამ კამპანიას სათავეში ჩაუდგნენ და პროვოკაციები მოაწყონ. მით უმეტეს, რომ ასეთი გამოცდილება წინა არჩევნებიდან უკვე გვაქვს.

— თქვენც გაიგებდით, ბაიდენმა ზურაბიშვილს წერილი მისწერა, სადაც წერს, რომ საქართველოში ანტიდემოკრატიული ქმედებებით იმედგაცრუებულია...

— ერთი მე მივწერე გუშინ მაკრონს წერილი და მეორე ბაიდენმა მოსწერა ზურაბიშვილს. ვიღაც ჩინოვნიკმა დაწერა წერილი და სალომეს გამოუგზავნეს. ბაიდენი არც წერილის დამწერია და არც წამკითხველი. ზურაბიშვილზე არაერთხელ მითქვამს, რომ ქართული ემიგრაციის, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სირცხვილია ეს ქალი. ასევე, ქართული პოლიტიკის სირცხვილი, სადაც სააკაშვილის წყალობით შემოყო თავი. სხვათა შორის, იგი 90-იანი წლების ბოლოს შევარდნაძეს აქტიურად სთხოვდა, მთავრობაში მიეღო. ამისთვის სხვადასხვა მექანიზმები გამოიყენა. შევარდნაძემ პროტექტორებს არგუმენტირებული პასუხი გასცა და მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა. ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეობა სურდა. შევარდნაძემ კუდმოძუებული გააბუნძულა. სამაგიეროდ, მიშამ აუსრულა ოცნება, ქართულ პოლიტიკაში მოიყვანა და რასაც ვიმკით, კი ვხედავთ.

— ზურაბიშვილმა არჩევნების მეორე დღეს უცხოელ პარტნიორებს რომ უთხრას, არჩევნები გაყალბდაო, რა შედეგს მივიღებთ?

— ზურაბიშვილს უცხოეთში არანაირი პარტნიორი არ ჰყავს. ისინი მისი პატრონები არიან. ჩვენი პრეზიდენტი სამი-ოთხი ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს. უპირველეს ყოვლისა, რუსეთისა და ირანის სპეცსამსახურებთან. ასევე, საფრანგეთის სპეცსამსახურებთანაც, რომლის გავლით ოკეანისგაღმელ სპეცსამსახურებთანაც თანამშრომლობს. ასე რომ, ვიმეორებ, მას ჰყავს არა პარტნიორები, არამედ პატრონები — რასაც ისინი უბრძანებენ, იმას გააკეთებს. არჩევნების მეორე დღეს გაყალბებულად გამოცხადება, კარგად ნაცადი სცენარია. ეს ხერხი რჩებათ ხელისუფლებაში მოსასვლელად. აბა, არჩევნების გზით რომ ვერ მოვლენ, თავადაც მშვენივრად იციან და მათმა პატრონებმაც.

— ჩვენს პრეზიდენტს თქვენ კი უწოდებთ ქვეყნის სირცხვილს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯინ შაჰინია მისით კმაყოფილი, ევროინტეგრაციის გზას რომ არ ღალატობს...

— ჯინ შაჰინი ჩვენთვის რა ავტორიტეტია?! რომელი საარჩევნო ოლქიდან არის ჩვენგან სენატში არჩეული?! გაიძახის, არჩევნებს ყურადღებით დავაკვირდებიო. ჩვენც დავაკვირდებით ამერიკაში ჩატარებულ არჩევნებს. სხვათა შორის, ჩვენც გვაქვს ბევრი პრეტენზია იქაურ წინასაარჩევნო პროცესებზე, თუნდაც ერთ-ერთ საპრეზიდენტო კანდიდატზე სასიკვ-

11 გვ. →

ნატო-ს მომლოდინე ორპირში დგომა წელში გაწყვეტს ქართულ სახელმწიფოს

გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:

— ბატონო ედიშერ, სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მისი საუბრიდან?

— რა შთაბეჭდილება უნდა დაგრჩეს ამ ბეხრეკი დედაკაცისგან იმის გარდა, რომ დასავლეთიდან ნაბრძანებ დავალებებს პირნათლად ასრულებს. დიდი დრო არ არის გასული მას მერე, რაც ეს ქალბატონი გვიმტკიცებდა, ომი საქართველომ დაიწყოო, რის შესახებაც გრიგოლიას „რეაქციაში“ ხმამაღლა განაცხადა. დღეს სულ სხვა რამ დაავალეს და ისიც შესაბამისად აჭიკჭიკდა. მას დავალებული აქვს, საქართველოში გადატრიალებისთვის ნიადაგი მოამზადოს. ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა მშვენივრად იცის, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებას ვერ შეცვლის. ამიტომ ზურაბიშვილზე ზეწოლას ახდენენ, ინსტრუქციებს უგზავნიან, რათა მან ქვეყნის დესტაბილიზაციას ხელი მაქსიმალურად შეუწყოს. ეს ქალბატონი ჩვენი აგენტოკრატიის წარმომადგენელი გახლავთ. დააკვირდით, როგორ გაექცა ვახო ხუზმიაშვილის შეკითხვას. მასზეა ნათქვამი, ქურდს ქუდი ეწვისო.

პრესკონფერენციამ უფრო ნათლად გამოააშკარავა, რომ პრეზიდენტი გლობალური ომის პარტიის აგენტი და საერთაშორისო იმპერიალიზმის წარმომადგენელია. საერთაშორისო იმპერიალიზმი და გლობალური ომის პარტია ერთი და იგივეა. ამის დასტურია უკრაინაში მიმდინარე ომი. საერთაშორისო იმპერიალისტურმა ძალებმა ყველაფერი უკუღმა წარმართეს — ქვეყანა გაანადგურეს, ათასობით ბავშვი, შშმ პირები, ავადმყოფები, მოხუცები, ქალები დახოცეს. ეს პროცესი უკრაინის განადგურების ხარჯზე მიმდინარეობს. დასავლეთს უკრაინაში თავისი მარიონეტი ზელენსკი ჰყავს. ანალოგიური ზელენსკები საქართველოშიც ჰყავს — ერთი ციხეში ბრძანდება, მეორე — საპრეზიდენტო ტახტზე. თუმცა ამ უკანასკნელს, საბედნიეროდ, იმდენი უფლება არ გააჩნია, რომ საქართველოს უზურპაცია მოახდინოს და ომში ჩართოს. არადა, მისი მიზანიც ხომ სწორედ ესაა, ამისთვის დასვეს პრეზიდენტად. ეს „ჩუჩელა“, ბეხრეკი დედაკაცი, დავალებების შესრულებისთვის ყველაფერზე წავა. თუმცა ქართველი ხალხი მას ადგილს ისტორიის სანაგვეზე მიუჩენს, რაც 26 ოქტომბერს გაფორმდება.

— ზურაბიშვილმა პრესკონფერენციაზე ტექნიკური მთავრობის შექმნაზე ისაუბრა. თანაც გამოჩნდა, რომ მეორე ვადით პრეზიდენტობისთვისაც ემზადება...

— როგორც იცით, ჰიტლერმა 28 აპრილს ჯვარი ევა ბრაუნზე დაიწერა, მაგრამ მესამე დღეს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ზურაბიშვილმა პოლიტიკური თვითმკვლელობა ჩაიდინა, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ სვლა დაიწყო. მისი მხრიდან ტექნიკური მთავრობის შექმნაზე ლაპარაკი პირდაპირ გადატრიალებისკენ მოწოდებას ნიშნავს. ეს ბეხრეკი დედაკაცი აუცილებლად მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგეს. და ასეც მოხდება მას მერე, რაც პრეზიდენტობის ვადა ამოეწურება. გავიხსენოთ, როგორ მოუწოდებდა 7-8 მარტის აქციაზე ახალგაზრდებს ამერიკიდან, თავისუფლების ქანდაკების ქვეშ მდგომი, ძალადობისკენ, ანუ პოლიციელების ცოცხლად დაწვისკენ, რაზეც პასუხი უნდა აგოს. ასევე, პასუხი აქვს საგები იმაზეც, რომ ტერორისტი გრიგორიადისი ციხიდან გაათავისუფლა. გარდა ამისა, ოთხმეზურის ოჯახი გაანადგურა, როცა მისი შვილის მკვლელი ციხიდან გაათავისუფლა. მის მიერ განხორციელებული შეწყალების აქტები ყოველთვის ეჭვს ბადებს. მარტივად რომ ვთქვა, იგი სახელმწიფო დამნაშავეა.

— რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჯინ შაჰინი და მაიკლ ტერნერი ჩამოვიდნენ, როგორ შეაფასებთ მათ ვიზიტს?

— ისინი იმისთვის ჩამოვიდნენ, რათა ის რევოლუციონერები შეემოწმებინათ, რომელთაც დასავლეთმა ქვეყნის გადატრიალების დავალება მისცა. დიახ, ჩამოვიდნენ, რათა ოპოზიცია გაემხნევებინათ და ეთქვათ, რომ რევოლუციის მოსაწყობ თანხებს უშურველად მოაწვდიან. მივმართავ შაჰინს: ჩვენ არ გვჭირდება ამერიკული „დემოკრატიის“ საქართველოში გადმოკოპირება, არც იმის სწავლება, როგორ ჩავატაროთ დემოკრატიული არჩევნები. თავიანთ ქვეყანას მიხედონ, მათ ხომ რამდენიმე თვის გარდაცვლილი ადამიანები სენატსა და კონგრესში აირჩიეს. მსგავსი არჩევნების კოპირება საქართველოს არაფერში სჭირდება.

საქართველო, ქართველი ხალხი გარედან მართული აგენტოკრატების უკან დაბრუნებას ვერ მოითმენს. სჯობს, საკუთარ ქვეყანაში ჩასატარებელ არჩევნებს და თავიანთ მიხრწნილ პრეზიდენტს მიხედონ, რომელიც ზეწოლის შედეგად იძულებული გახდა, კანდიდატურა მოეხსნა. მეტიც, ჩვენ არ გვჭირდება იმ ქვეყნის წარმომადგენლისგან ჭკუის სწავლება, სადაც პრეზიდენტობის კანდიდატებს ტყვიებით უმსაპინძლდებიან. ჯერ საკუთარ ქვეყანაში დაამყარონ წესრიგი და ჩვენ მერე დაგვმოძღვრონ. და, რაც მთავარია, როგორც თანასწორი თანასწორს, ისე გვესაუბრონ.

კოლექტიური შაჰინების დარიგებებს, ბრძანებებს ქართველი ხალხი არ შეეგუება. კი ბატონო, ჩამოსვლით ჩამოვიდეს და დააკვირდეს არჩევნებს. საქართველო ის ქვეყანაა, სადაც 21-ე საუკუნეში არჩევნები ფოსტის გზავნილებით არ ტარდება და მასში მონაწილეობას გარდაცვლილები არ იღებენ. ამიტომ, უპირველესად, შაჰინმა საკუთარ თავს სცეს პატივი, ეს საუკეთესო გზავნილი იქნება.

შაჰინი საერთაშორისო იმპერიალიზმის ემისარია საქართველოში, რომელსაც სინამდვილეში, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, აქ როგორი დემოკრატია გვექნება. დემოკრატიაზე აპელირება, უბრალოდ, საბაბია. ამერიკას თუ მოეპრიანება, აქ დიქტატურას დემოკრატიად გაასაღებს და პირიქით. რომელმა გააპროტესტა ააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის სისასტიკეები. მეტიც, დემოკრატიულად არჩეული ეროვნული ხელისუფლება რომ ჩამოაგდეს, აშშ-მა რეაგირება მოახდინა?! ერთი შესანიშნავი ქართველი მწერლის ნაწარმოებიდან ფრაზა მახსენდება, მურტალოებს მეთოდები დაუძველდათო. აქ ჩერჩილს, დე გოლს, ვაშინგტონს, ჯეფერსონს რომ ჩაეტარებინა არჩევნები, დარწმუნებული ვარ, ეს ღვთის პირიდან გადავარდნილები მაინც იტყოდნენ – გაყალბდაო.

— ამერიკის ხელმძღვანელობა გვიმტკიცებს, ქართველი ხალხის მხარეს ვართო, თუმცა ლუგარის ლაბორატორიას დაფინანსება შეუწყვიტეს.

— ლუგარის ლაბორატორიას რაც შეეხება, საერთოდ თუ გაუქმდება, უკეთესი იქნება. თუ ეს ლაბორატორია კარგია, რატომ თავის ქვეყანაში არ აქვთ?! სად იყვნენ ეს ადამიანები 2008 წლის აგვისტოში და ომის მერე?! მაშინ თუ მოითხოვა შაჰინმა რუსეთზე სანქციების დაწესება?! ვინმემ ხმა ამოიღო?! 2008 წლის თებერვლიდან მოყოლებული, გვეუბნებიან: თქვენთვის ნატო-ს კარი ღიაა. ნატო ჩვენ დაცულობისა და უსაფრთხოებისთვის გვჭირდება. ამდენ ხანს ღია კარში დგომამ, გვერდებში „სკვაზნიაკი“ იცის, რაც არაერთხელ გაგვიჩინეს, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. რა ქმედითი ღონისძიებები გატარდა ომის დროს, ან მის შემდგომ? ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების გამკვირვებია. თითქოს, 32 წელია, ჩვენზე ფიქრში აღამებენ, მაგრამ შედეგი საწინააღმდეგოა როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით, ისე ეკონომიკისა და დემოგრაფიის გაუმჯობესების მხრივ. სახელმწიფო ამ სამ ძირითად სვეტზე დგას. შაჰინმა ერთი ქარხნა დამისახელოს, რომელიც ამერიკის დახმარებით აქ აშენდა, ხალხი დასაქმდა და ისეთ პროდუქციას ვუშვებთ, რაც მსოფლიო ბაზარზე გადის! რატომ არ ხდება ასე?!

გვამადლიან, 6,5 მილიარდი დოლარის დახმარება გაგიწიეთო, ანუ წელიწადში 150 მილიონი დოლარი. ეს დახმარებები ნჯო-ების ჯიბეებში ილექება. ანუ, როგორც რუზველტი იტყოდა: მათი „სუკინსინების“, ანუ ნჯო-ების ჯიბეებში. სჯობს, თავი დაგვანებონ და გარედან დააკვირდნენ, როგორ განვითარდება საქართველო. ნუ აფათურებენ ხელებს ჩვენს ქვეყანაში სიტუაციის ასარევად. ეს უკვე გამოვცადეთ 90-იან წლებში და ქართველი ხალხი ამას აღარ დაუშვებს. საქართველოში არეულობის მოწყობა ნიშნავს, რომ ცეცხლის ალი მთელ კავკასიას მოედება, რაც სახარბიელო არავისთვის იქნება. მეტიც, აქ სიტუაციის არევას არ შეეგუება რეგიონში მათი მთავარი მოწინააღმდეგე — რუსეთი. ამიტომ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ, როცა ეს ვეშაპები მსოფლიო გადანაწილებისთვის იბრძვიან, ისეთ ვითარებაში არ აღმოვჩნდეთ, რაც გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანს და საქართველო პირისაგან მიწისა აღიგვება. აქაურ აგენტოკრატებს მივმართავ: ცეცხლს ნუ ეთამაშებიან, თორემ საქართველოში საშინელება მოხდება, რაც ჩვენს სახელმწიფოებრიობას ჯვარს დაუსვამს.

— ნაცებმა სახელები გადაირქვეს. არჩევნებში ზოგი „ერთობის“ სახელით იასპარეზებს, ზოგი — „კოალიცია ცვლილებისთვის“...

— რაც უნდა დაირქვან, მათი პერსპექტივა ნულია. ნულს ნული რომ მივუმატოთ, რამე იცვლება? ვახტანგ ბოჭორიშვილი ამბობდა: „მოქალაქეთა კავშირი“ კი არ დაიშალა, გაიშალაო. ასეთი გაშლა მოინდომეს ნაცებმაც, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ყველამ ვნახეთ, რა სამარცხვინოდ წააგო ხაზარაძეჯაფარიძემ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში, სადაც საქართველოს ბიუჯეტიდან დიდ თანხას ითხოვდნენ. ის, რომ თაღლითები არიან, საარბიტრაჟო სასამართლომაც დაადასტურა. გაერთიანებები ახსენეთ და ხომ ხედავთ, თაღლითთან ისევ თაღლითი ერთიანდება: ელისაშვილი, სამადაშვილი, ნაცვლიშვილი, რომლის მამამ ქუთაისის ავტოქარხნიდან ერთი ნაჭერი რკინა არ დატოვა გაუზიდავი. აი, ესაა მათი შექმნილი ერთობა.

მეტიც, დააკვირდით, როგორი გულღრძოები არიან. ივანიშვილმა შეკვეთილში დენდროლოგიური პარკი ააშენა, სადაც კენიიდან, აფრიკის კონტინენტიდან ჩამოტანილი ბაობაბის ხეები უნდა დაერგო, მაგრამ აქაურმა მეხუთე კოლონამ საჩივრების წერა დაიწყო, კენიაში ეკოლოგიური პირობები ირღვევაო. შედეგად, ბაობაბების ჩამოტანა შეფერხდა მათი საჩივრების გამო და რვა ხე გახმა. ამ ინტერვიუს 9 აგვისტოს ვწერთ. 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ხიროსიმასა და ნაგასაკიში სამარცხვინო ფაქტი მოხდა. ეს აგენტოკრატი მეხუთე კოლონა მზად არის, თუ პატრონები ფულს გადაუხდიან, საქართველოში ნაგასაკი და ხიროსიმა მოაწყონ, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან.

თამარ შველიძე

„შეიძლება იმიტომ რომ ათი დღით ჩამოვშორდი ქართულ პოლიტიკის ვნებათაღელვას, შესაძლოა იმიტომ რომ შორიდან სხვანაერად აფასებ ყველაფერს და მშვიდ გარემოში მსჯელობა სხვაგვარადაა... რაც არ უნდა იყოს ვერ ვხედავ რატომ გვიხარია დაძაბულობა რომ მატულობს ჩვენს ირგვლივ და ოკუპირებულ ტერიტორიების სიახლოვეში ... ამერიკული სამხედრო ტეხნიკის გამოჩენა თავისთავად რას ემსახურება და რისი მომტანია ჩემთვის ნათელი არაა... ეს არ არის - ჩვენ რომ გვგონია ან გვინდა გვჯეროდეს - ისეთი მკაფიო განაცხადი“ ხელი არ ახლოთო თორემ აქ ვართ და ნახავთ “ ... ამ ტეხნიკის დემონსტრირების უკან რა დგას და საერთოდ რამე ჩანაფიქრი თუ დგას ცოტაარ იყოს მეეჭვება? არის კი ამერიკა მზად პასუხისთვის მცოცავი ქმედებებიდან ღია აგრესიაზე რომ გადავიდეს ჩვენი ისედაც აღგზნებული მეზობელი?

ვშიშობ ახალ ადმინიტრაციას არც გამოცდილება და არც შორს მჭტრეტავი ხედვა არ გააჩნია ამ რეგიონის კონფლიქტების მოგვარებისათვის, არც შემუშავეული ენა და მიდგომა რუსეთი რომ შეაჩეროს. ამ დღეებში გავრცელებულ კადრებს აშსს უყურებს როგორც კინოს : აი რა მაგრები ვართო და რუსების არ გვეშინიათქო ... მაგრამ ამ ჟესტიკულაციის იქით გარანტია არ სჩანს.

... ჩვენ კი აგვიტაცა რაღაც ილუზიამ რეალურ მხარდაჭერის რომელიც არც 2008 წელს განხორციელებულა და არც გუშინ უკრაინის მიმართ. კარგად მესმის რატომ ვერ განხორციელდა და რატომ არც უნდა ველოდოთ ამაზე მეტი... ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენ თავს, ცრუ იმედებს და ვითომ დაპირებებს არ დავუჯეროთ, სუფრთხილე და ჭკუა არ დავკარგოთ ... ვიცოდეთ მეგობარს რა და რამდენი ვთხოოთ ...ასევე მტრის რეალური ძალა ვიცოდეთ და უადგილოთ არ გამოვიწვიოთ ! ეს შეცდომა დავუშვით 2008 წელს და შედეგებს ვიმკით დღემდე...“

სალომე ზურაბიშვილი, 31 ივლისი 2017 წელი.

ეს ქალი ცოტა ხომ არ წაიბაიდენებს?

მედია ჰყოლია დაპატიჟებული „კოჭლ იხვს“, ორი საათი უჩიქორთულია და ამიტომ მივაქციე ყურადღება, მაინტერესებდა, პრივატიზებული მედია რას ჰკითხავდა, თორემ ეს ქალი საკმაოდ დიდი ხანია პირადად ჩემთვის არაფერს წარმოადგენს. უკვე ათასჯერ წამოვაყვედრე მის გამო იმ ქარაშოტში, იპოდრომზე ტალახი რომ ვზილე... კაცმა რომ თქვას, ამ ქალს რას ვერჩი, კოხორასი არ იყოს, მე ვარ შტერი — რა დროს სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულება იყო, მივმჯდარიყავი ტელევიზორთან და ჩამომერაკრაკებინა, რასაც სიუჟეტებად გაუშვებდნენ.

რა გულნარა ჩიტიც ბრძანდებოდა, მაშინ ვიგუმანე, როცა რომელიღაც მიტინგზე, რუსთაველზე, იმჟამად ოპოზიციონერი სალომე ზურაბიშვილი ჩემ გვერდზე იდგა და როდესაც აზრი ვკითხე, სხარტად მომიგო, ჩემს პრესმდივანს დაუკავშირდით შეხვედრაზეო და გვერდზე მდგომ პირზერძეშეუშრობელ გოგონაზე მიმითითა. გაოცებულმა შევხედე ჯერ ერთს, მერე მეორეს და მადლობა გადავუხადე. იმ გოგონამ უხერხულად აიწურა მხრები, ამ ქალმა კი გამიღიმა და აჩქარებული ნაბიჯებით უმისამართოდ გავარდა. ის გოგონა გაედევნა, მაგრამ მაინც მომხედა რაღაცნაირი თვალებით, რომლებშიც ბოდიში ამოვიკითხე — ეს ქალი არა მხოლოდ „კოჭლი იხვია“, არამედ დიდი ქაჯიცაა, ამიტომაც შეუერთდა საკუთარი პირით ქაჯებად მოხსენიებულ საქაჯეთს — ჯოჯოხეთს ერთი მაშხალა აკლდაო და აჰა, ისიც, შავად მანათობელი მაშხალა.

ეს ქალი, ვფიქრობ, სავარაუდოდ, ნამდვილად ბატიტვინა უნდა იყოს, რას იტყვის კი არ უკვირდება, რასაც გაიფიქრებს, წამიერადვე წამოისვრის, საკუთარი ფრაზების გაანალიზების უნარი არ აქვს, ისეთებს აფრქვევს, საკუთარსავე თავს სვრის მრავალგვაროვან ლაფში. როგორც ჩანს, საპირფარეშომოთავებული გვევლინება ხოლმე, თორემ შუა სიტყვით გამოსვლაში რომელიმე სახის ფიზიოლოგიური მოთხოვნილება რომ გასჩენოდა, მაგასაც ჩაურთავდა სიტყვაში და ნერვშეუტოკებლად უტიფრად მოგვახსენებდა.

რას ვკადრულობ?

რასაც ეს ქალი კადრულობს, იმაზე უარესს არაფერს!

ამაზე უარესი რა ვთქვი: ჩემთან, ადმინისტრაციაში, ორი კიბერშეტევა იყო და სახელმწიფო უწყებებიდან — ნული რეაგირება! ამერიკელებმა უფრო სწრაფი რეაგირება მოახდინეს, ვიდრე ჩვენმა უწყებებმა, — განაცხადა ამ ქალმა პრესკონფერენციაზე დეზინფორმაციაზე საუბრის დროს.

კი ბატონო, ვიცით, რომ საქართველოში უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებელი უცხოელი, რეზიდენტი პრეზიდენტია, მხოლოდ გვარ-სახელით არის ქართული ასოთაწყობით, მაგრამ ასეთი გულწრფელი აღიარება გულწრფელ იდიოტს არ მოუვიდოდა აზრად. ამ ქალს „კოჭლი იხვი“ მარტო სახელად კი არ ჰქვია, ჭეშმარიტად ბატიტვინა ყოფილა!

ჩემს ვაზზე, კონკრეტულ ტოტზე, ყოველ გაზაფხულზე ყვითელნისკარტა შაშვი რომ ჩამომიჯდება და მიგალობს, მოვედიო, იმ შაშვს აქვს სამშობლო და ქართველი შაშვია. ფანჯარასთან მაქვს სამუშაო კუთხე. უსათვალოდ თუ ვარ, ვერ მცნობს და არ მიგალობს, მიფრთხის; შაშვს ქედნების ოჯახი მოჰყვება, ჩამომისხდებიან და დამღუღუნებენ; წელს კაჭკაჭმა ცოლ-შვილი მომიყვანა საჩვენებლად — გავოგნდი ორი ბარტყის დანახვაზე; ჩემი ეზოს პირდაპირ, სხვენში, ნაღდი ქართველი, თბილისელი ყვავები ცხოვრობენ — ფრინველთა სამყაროს წარმომადგენლებს აქვთ სამშობლო და ადამიანი რა სახის არსებაა, რომ უსამშობლოობა აბედნიერებს? ვიტყოდი, ეს ქალი ღამურაა, ვეღარც ფრანგობს, ვერც ქართველობს, ღალატსაც ღალატობს-მეთქი, მაგრამ შებინდებულზე ჩემს ეზოში ღამურები რომ ფრენენ, იმ ქართველ ღამურებს როგორ მივაყენო შეურაცხყოფა...

მოღალატე და მედროვე ყველგან არის, ამდენად, კი არ მიკვირს ამ ქალის ჰ-არამზადობა, უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციას ვახდენ...

შატობრიანს აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც 1815 წლის 6 ივლისს საფრანგეთის ტახტზე დაბრუნებულმა ლუი XVIII-ემ, მეფისადმი ერთგულებისა და პატივისცემის გამოხატვის ნიშნად მისული ორი მაღალჩინოსანი მიიღო სენ-დენის საბატონში — ტალეირანი და ფუშე. თავის დროზე, ამ ორმა ცნობილმა პირმა ხმა მისცა ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯას. შემდეგში, იგივენი, ნაპოლეონის მინისტრები გახდნენ და მასაც უღალატეს. შატობრიანი ასე აღწერს სცენას: „... მოულოდნელად კარები გაიღო. ნელ-ნელა შემოვიდნენ მანკიერება და დანაშაული — ბატონი ტალეირანი, რომელიც ბატონი ფუშეს ხელს ეყრდნობოდა.“

ისე ფრანგულადაა ამ ქალის საქმე, როგორც ამ ორი ფრანგის მორალი საზღვრავს... შარლ-მორის დე ტალეირან-პერიგორი: „ერთადერთი სწორი პრინციპია — არ გქონდეს არავითარი პრინციპები!“

ჟოზეფ ფუშე: „ეს დანაშაულზე უარესია, ეს შეცდომაა!“

ამ ქალს არავისი ნათქვამი არ ესმის და რაღა ტალეირანისა გაიგონა, ფუშეც იქვე არ ჰყავდა? კი, ჰყავდა, მაგრამ მას ხომ ტალეირანის გარდა, აშშ-ის ელჩებისაც კარგად ესმის, რასაც უბრძანებენ, იმას ჩაიდენს უპრინციპო ფიტული...

კამალა ჰარისს დასცინიან, მართლა ასეთი გულითადი მხიარული კი არ არის, აბსოლუტური ჩლუნგია ყველა საკითხში და უხერხულობა რომ დამალოს, ყველაფერზე ამიტომ იცინისო.

ისაო, ჩემი ბრალი არ არის თუ წვიმა წამოვიდა, მოულოდნელი წვიმა იცის პარიზშიც და თბილისშიცო, — განუცხადა ღია ცისქვეშ ჩამომსხდარ მიპატიჟებულ მედიაგვრიტებს.

კაი, კაცო! ინდოეთში რომ მუსონური წვიმები იცის, ამას არ გააგებინოთ, ეწყინება თუ გაუხარდება, რას გაიგებ, მაგრამ მაინც — ინდოეთს მიაბამს ჩინეთს და მაგის ნერვი აღარ მაქვს...

მედიასთან შეხვედრაზე ვახო ხუზმიაშვილმა ძალზე მარტივი გასაგები ქართული ენით დაუსვა შეკითხვა: 16 წლის წინათ ძალიან მძიმე ტრაგედია გადაიტანა ჩვენმა ქვეყანამ. ვიდრე გახდებოდით საქართველოს პრეზიდენტი, ისეთ განცხადებებს აკეთებდით, რომ არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ იმ ადამიანებსაც კი, ვისაც მოუწია თქვენთვის ხმის მიცემა, ძალიან არ მოსწონდათ. შეგახსენებთ ერთ განცხადებას: „შენს ტერიტორიაზე, შენს მოსახლეობაზე მასიური დაბომბვის დაწყება — ამას რა ჰქვია, უგუნურობა, გიჟი პრეზიდენტის ახირება თუ რაღაც უცნაური, გაუგონარი გარიგება საუკუნოვან მტერთან.“ მე მაინტერესებს, შეიცვალა, გადაფასება მოახდინეთ თუ არა და დღეს იმ ხელისუფლებას, რომელსაც აბრალებდით, საკუთარი მოსახლეობა დახოცა, ბავშვები დახოცაო, როგორ ახერხებთ მათთან ჯდომას და როგორ ახერხებთ მათთან ერთად ხელისუფლების შეცვლას. თქვენი ამ განცხადების გამო „ქართულ ოცნებასაც“ კი გაუჭირდა თქვენი პრეზიდენტად გაყვანა — თქვენი ბილბორდები ჩამოხსნეს და ბიძინა ივანიშვილის ბილბორდები იყო გამოკიდებული. ივანიშვილი ხალხს ურეკავდა, რომ ხმა მოეცათ... გიქმნით თუ არა ეს უხერხულობას და იქნებ, განმარტება გააკეთოთო.

ვახომ, ფაქტობრივად, სიტყვებით ჩაჩექმა რეზიდენტი პრეზიდენტი, მაგრამ კატას ზურგზე ვინ დასცემს!

კულტურულად სცრიდა კბილებში, თორემ რეალურად ისე უპასუხებდა, როგორც ივანოვს უთხრა: ბიჭო, შენ რა გაატრაკე! „რაც წაიკითხე, ეგ არ ნიშნავს იმას, რომ რეალურად ჩვენ დავიწყეთ ომი. ან ისტორია უნდა იცოდეთ, ან გეოგრაფია. გეოგრაფია იმას ნიშნავს, რომ ვინც გადალახავს საერთაშორისო საზღვარს, ის არის, ვინც იწყებს ომს. აქ იყო ლაპარაკი სხვა რამეზე — შიდა პოლიტიკაზე, იმ დანაშაულზე, რომელიც შეიძლება, ჩაიდინა, მაგრამ ამაზე „ოცნებამ“ არ დაიწყო არანაირი გამოძიება, სულ სხვა რამეზე დაიწყო, პიჯაკებზე და სხვა რაღაცეებზე. თუ რა მოხდა კოდორის ხეობაში, რა მოხდა ცხინვალში...“

ვახოც ჩაეკითხა, რა მოხდაო?

„მაგრამ ის, რომ რუსეთმა დაიწყო აგრესია საქართველოზე მაშინ, როგორც დაიწყო უკრაინაზე, ეს ორი სხვადასხვა რამე არის, ერთი ეხება გეოგრაფიას, მეორე ეხება ისტორიას. და ეს არის ის, რაც ყველამ უნდა იცოდეს, ყველამ უნდა გაიგოს და არ უნდა ავღრიოთ მცნებები და პრინციპები. პრინციპი არის ის, რაც ჩვენ ვიცით, თანამედროვე ისტორიის მტერი არის რუსეთი, რაც თქვენმა „ოცნებამ“ როგორც სჩანს, დაივიწყა.“

ჰააგაში რატომ ჰქონდა რუსეთს თქვენი ეს სიტყვები მოყვანილიო, — ალბათ ამის შეკითხვა უნდოდა ვახოს, მაგრამ ვინ დააცადა, მორჩა, დამთავრდა თქვენი ერთი კითხვაო და დატოვა ვახტანგ ხუზმიაშვილმა წარმოდგენილი პინგვინა მედიის სასკამეთი.

აბა, რა გაიგეთ, რაო, რა უპასუხა ამ ქალმა შეკითხვაზე? ვერაფერი! მიედ-მოედო და გადამთიელების დასანახად კითხვაზე პასუხის გაცემად მიითვალა. ვინც რა ჰკითხა — ჩინეთზე, ანაკლიაზე თუ მარსზე აღმოჩენილ საეჭვი ნივთებზე, ყველაფრის პასუხი იყო — ბიძინა ივანიშვილი დამიჯდეს დებატებშიო.

რა ჩიქორთულად მოსაუბრეც თვითონ არის, ისე ჩიქორთულად უნდა ეკითხა ვინმეს, ბიძინა რა პონტში უნდა დაგიჯდეს დებატებში, თქვენ ჩვენის პატივცემულო, პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს, რამე ნახე სიზმარში თუ რამე დაგავალესო, მაგრამ „ხუზმიკა“ აღარ იყო ახლომახლო და ვის რა უნდა ეკითხა...

ქვეცნობიერი მაგარი ფენომენია, რადგან ქვეცნობიერს ვერ ატყუებს, სხვანაირად ქვეცნობიერს ვერ აჯერებს, რომ პრეზიდენტია და რა ქნას... ზოგადად, არავის უყვარს ის, ვინც მას დაეხმარა და წუმპედან ამოათრია...

შეკითხვა: სომხეთს საფრანგეთი იარაღით რომ ამარაგებს, ეს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის მშვიდობას ხელს არ შეუშლისო?

პასუხი: სხვა ქვეყნების პოლიტიკაზე, ვის შეიარაღებას ეწევა — არ გავაკეთებ კომენტარსო.

კარგი, საქართველო არ არის მისი სამშობლო, მაგრამ საფრანგეთსაც სხვა ქვეყანად რომ თვლის, ეს როგორღაა? აი, ასეა, აკი ვთქვი, უსამშობლოა და ღალატსაც ღალატობს-მეთქი...

მედიაპინგვინებმა თავისდაუნებურად იმდენი სისულელე ალაპარაკეს, იმდენი პოლიტიკური ლაფსუსი ახეთქა ამ ქალმა, რომ აზრი არ აქვს გამეორებას. იმ აქლემის ვარიანტია, რომ ჰკითხეს, ფეხები რატომ გაქვს დაგრეხილიო და გაოცებულმა აქლემმა იქით შეუბრუნა შეკითხვა: სხვა რა მაქვს სწორიო...

მოკლედ, წავიდ-წამოვიდა და ჩაიხვია ბიძინასთან დებატები — გვითხრას, რას უშვრება ქვეყანასო. გადამრევენ ეს კრებსითი ტვინჭუტალები!

ყველაზე უცნაური, რაც გავიგე, ის იყო, რომ 26 ოქტომბერს თურმე ხალხი ქარტიას აძლევს ხმას, მაგრამ რა ნომრით იქნება წარმოდგენილი საარჩევნო სიაში, ამის თქმა დაავიწყდა თუ მე ვერ გავიგე, არ ვიცი... ერთგვარად, ეს ქალი წაიბაიდენებს და ვერ ატყობთ...

კარგი, ეს ქალი თავის ამპლუაშია და უბერავს, მაგრამ როცა ერთი ვინმე, ვიღაც გამოხტება, რომელსაც ჟურნალისტი დაარქვეს, ნეტავ, რის ფასად ირჯება რომ ყალბი აღშფოთება აფრქვიოს?

თურმე გული მოუკვდა რეზიდენტი პრეზიდენტის სიტყვებზე, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ბოიკოტს უცხადებს, არც დაპატიჟებულზე მიდის და არც ექსკლუზიური ინტერვიუ უნდა მისგან, სამჯერ გაუფარჩაკებია უარის თქმით.

იგივენაირად იქცევა თურმე „იმედი“ და „რუსთავი-2“, მაგრამ ისინი კერძო ტელევიზიები არიან, თუმცა, ასე მარტივად მაინც არ არის საქმე, კერძო მედიასაც მოეთხოვება მინიმალური სტანდარტების დაცვა, სამარცხვინოა მათი საქციელიო.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“, სალომე ზურაბიშვილის ლექსიკაში „საზმაუსი“, ხალხის ფულით ფინანსდება და რეალურად ერთ პარტიასა და ერთი კაცის ახირებას ემსახურება, უარს ამბობს პრეზიდენტთან მისვლაზე, რადგან ის ერთი კაცი და პარტია მას პრეზიდენტად არ აღიარებსო. ეს რა არის, ასეთი სამარცხვინო საქციელი, მართლა დიდი ხანია არ მინახავსო.

რა სამარცხვინო საქციელი არ უნახავს ამ შეშფოთებულ-აღშფოთებულ ჟურნალისტს, ვისაც დასტირის, მისკენ მოიკითხოს სამარცხვინო საქციელების კასკადი...

რაც შეეხება ამ ქალს, იმ ჟურნალისტისთვის არის პრეზიდენტი, ხოლო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის სწორედაც რომ არ არის პრეზიდენტი! ეს ქალი არის „კოჭლი იხვი“ და ჩვეულებრივი რეზიდენტი! „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ხალხის ფულით რომ ფინანსდება, სწორედ ხალხის განწყობას გამოხატავს — ხალხი აღარ თვლის ამ ქალს პრეზიდენტად!

დავიღალეთ!

ზურა ოშხერელი

ბაიდენი არც ნერილის დამნერია და არც ნამკითხველი

8 გვ.

დილო თავდასხმის გამო. ყველას ვურჩევ, საკუთარ ქვეყანას მიხედოს.

ვწუხვარ, ამერიკაზე ასეთი საუბარი რომ მიწევს. ის ჩემთვის სკოლის პერიოდიდან მოყოლებული, ყოველთვის საოცნებო ქვეყანა იყო. ინგლისური ენაც სწორედ იმიტომ ვისწავლე, რომ აშშ-ში მემოგზაურა. ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს, როცა თელავში ვმუშაობდი, კალიფორნიის ქალაქ ნაპასთან მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ. თელავი და ნაპა დაძმობილებული ქალაქები გახდნენ. ვამაყობ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში მეგობრებთან ერთად ბევრი ერთობლივი პროგრამა განვახორციელე.

ასე რომ, ჩემთვის ამერიკა უბრალოდ ქვეყანა კი არა, პროგრესი, დემოკრატია გახლდათ, სადაც მაქსიმალური განვითარების მიღწევა იყო შესაძლებელი, როგორც ფინანსური, ისე პროფესიული ზრდის თვალსაზრისით.

სამწუხაროდ, ბოლო ოცი წელია, აშშ დეგრადაციისკენ წავიდა. იმის მაგივრად, რომ სხვებისთვის პროგრესის, განვითარების მაგალითი ყოფილიყო, არასწორი პოლიტიკის გამტარებელი და სხვა ავტორიტარული პოლიტიკური პროცესების მიმბაძველი გახდა. ეს 2001 წელს დაიწყო, ამერიკაში განხორციელებული ტერორისტული აქტის მერე.

ჩემთვის აღმაშფოთებელია, რაც აბუგრეიბის სამხედრო ბაზაზე ხდებოდა, სადაც

ახლაც იმყოფებიან ადამიანები, რომელთაც უვადო პატიმრობა აქვთ მისჯილი. ეს ენით აღუწერელი უმსგავსობა, უკანონობაა. თუ ადამიანი ტერორისტია, ჯერ გამოიძიე, დაუმტკიცე და მერე გაასამართლე. ოც წელზე მეტია, ხალხი აუტანელ პირობებში ჰყავთ, თან ისე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია. ამიტომაც ვამბობ, აშშ რეგრესისკენ მიდის.

— სამაგიეროდ, ჩვენთან არის წინსვლა. ედისონ რისერჩმა სალომე ზურაბიშვილი ხალხის საყვარელ პოლტიკოსად დაასახელა...

— თავად ამერიკელების ნათქვამია, რომ პოლიტიკურ შედეგებს გამოკვლევები კი არა, არამედ არჩევნები განსაზღვრავს.

— ოპოზიცია ხმების დასაცავად ემზადება. გიგაურმა ბათუმში ჩატარებულ კონფერენციაზე განაცხადა, ხმები ვერ უნდა წაგვართვანო. სად აქვთ წასართმევი ხმები?

— წინასაარჩევნოდ არაერთი ახალი კოალიცია ჩამოყალიბდა. სინამდვილეში, ეს გახლავთ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, რომელიც მიშას გასაპრეზიდენტებლად იბრძვის. არანაირი კოალიციები არ არსებობს.

მოვა არჩევნები და ვნახავთ, ვის რა ხმები ექნება. ყველა ამომრჩეველს მოვუწოდებ: საკუთარი ხმა დაიცვას. ასევე, სახელისუფლებო პარტიამ უზრუნველყოს, რომ ყველა ამომრჩეველის ხმა დაცული იყოს.

თამარ შველიძე

როდის და რით დასრულდება მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი?!

სიტუაცია მსოფლიოში, როგორც პოლიტიკურ, ასევე, ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში, ყოველდღიურად უარესდება. ყოველივე ამის მიზეზი მსოფლიოში ძლიერი პოლიტიკოსების დეფიციტია.

თითქმის ორი კვირაა, მსოფლიო ყოველდღე ელოდება ახლო აღმოსავლეთში ახალი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას. არავინ უწყის, როდის შეუტევს ირანი ისრაელს. მიზეზი ცნობილია. ისრაელის სარაკეტო შეტევის გამო თეირანში დაიღუპა პალესტინის „ჰამასის" პოლიტბიუროს ხელმძღვანელი ისმაილ ჰანინი, რაც ირანის ხელისუფლებამ შეურაცხყოფად მიიღო, აღშფოთდა და საპასუხო დარტყმის შესახებ მუქარაც გაისმა.

ფაქტობრივად, ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებები უკვე ათი თვეა, ინტენსიურად მიმდინარეობს. არაერთხელ გაიმართა მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, თითქოს აღწევდნენ კიდეც შეთანხმებას, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტი ახალი ძალით გრძელდება. ისრაელის არმია და ლიბანის „ჰეზბოლას" შეიარაღებული დაჯგუფება თითქმის ყოველდღე აცხადებენ განხორციელებული შეტევების შესახებ. ორი დღის წინ „ჰეზბოლამ" ისრაელის ჩრდილოეთ რეგიონზე კვლავ განახორციელა შეტევა 30 რაკეტით. შედეგებზე არაფერს იუწყებიან, მაგრამ ფაქტია, რომ იერუსალიმში ტურისტები ჩასვლას ერიდებიან, ქალაქი და ისტორიული ობიექტები ცარიელია.

სამწუხაროდ, ვითარების განმუხტისთვის არაფერი კეთდება. უფრო მეტიც, გასულ კვირას ისრაელის არმიამ ღაზას სექტორში განახორციელა შეტევა ერთ-ერთ სკოლაზე, სადაც დევნილი მოსახლეობა აფარებდა თავს. დასავლური პრესის ინფორმაციით, დაღუპულია 100-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად, ბავშვები და ქალები. ისრაელის არმიის წარმომადგენელმა საინფორმაციო საშუალება „ტელეგრამ კანალს" განუცხადა, რომ სკოლაში „ჰამასის" მებრძოლები იმყოფებოდნენ, იქვე იყო შეიარაღებული დაჯგუფების სამეთაურო პუნქტი და მათ გასანადგურებლად განახორციელეს შეტევა, მაგრამ ამის დამამტკიცებელი ფაქტები არ გაუსაჯაროებიათ. ისრაელის არმია ანკლავში საბრძოლო მოქმედებებს განაგრძობს და სამხრეთ რეგიონში ახალი ფართომასშტაბიანი შეტევისთვის ემზადება.

მუქარას ისრაელზე მოსალოდნელ შეტევებზე ირანი კვლავ განაგრძობს. თუმცა, იქვე აცხადებენ, რომ ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტაზე მოლაპარაკებებს ხელს არ შეუშლიან. „თეირანს სხვა არჩევანი არ დარჩა, გარდა ისრაელზე საპასუხო დარტყმისა. ამას განაპირობებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს უმოქმედობა, რომელმაც არანაირი ზომები არ მიიღო ისრაელის აგრესიის შესაჩერებლად", — განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალი ბაგერ კანიმ. „ისრაელის არმია მაქსიმალურად მზად არის თავდაცვისთვის და შეტევებისთვისაც", — საპასუხოდ განაცხადა ქვეყნის ჯარების გენშტაბის ხელმძღვანელმა გერცი ხალევიმ.

საინტერესო განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა: „რეგიონში ყველას უნდა ესმოდეს, რომ შემდგომი ახალი შეტევებით არსებული კონფლიქტი შენარჩუნდება, ყველა ქვეყანაში იმატებს ხიფათი და არასტაბილურობა. ამიტომ არავინ უნდა დაუშვას კონფლიქტის ესკალაცია. ამის შესახებ ჩვენ ვაცნობეთ ისრაელის და ირანის ხელისუფლებებს". იქვე დაამატა, რომ აშშ-ისთვის ისრაელის დაცვა პრიორიტეტულია. ამის დასტურია აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების რეგიონში გადასროლა. ხმელთაშუა ზღვაში უკვე იმყოფება ერთ-ერთი დიდი ავიამზიდი „თეოდორ რუზველტი". გავრცელებული ინფორმაციით, რეგიონში აშშ გააგზავნის ატომურ წყალქვეშა გემს და კიდევ ერთ ავიამზიდს. აშშ-ის ხელისუფლებამ ისრაელს დამატებით 3,5 მილიარდი დოლარი გამოუყო შეიარაღების შესაძენად.

განცხადებები ერთია, მაგრამ რეალობა სხვაა. გასულ კვირას პალესტინის „ჰეზბოლას" პოლიტბიუროს ახალი ხელმძღვანელად იაჰია ას-სინვარი აირჩიეს. ანალიტიკოსები მოელოდნენ, რომ ახალი ხელმძღვანელის არჩევა დროში გაიწელებოდა, მაგრამ არჩევნები ოპერატიულად ჩატარდა. საინტერესოა, რომ ას-სინვარს თანამდებობა ჯერ დაკავებული არ ჰქონდა, როდესაც ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა იზრაელ კაციმ საკუთარი ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებს მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მოახდინონ პოლიტბიუროს ახალი ხელმძღვანელის ლიკვიდაცია. პალესტინის ხელმძღვანელმა მაჰმუდ აბასმა არანაკლებ საგულისხმო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ისმაილ ჰანინის მკვლელობის მიზანი ომის გაჭიანურება, კონფლიქტის მასშტაბის გაზრდა იყო.

საგანგებო რიგგარეშე სხდომა გამართეს ისლამური ქვეყნების ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრებმა საუდის არაბეთში. მათ დაგმეს ჰანინის მკვლელობა და ამაზე სრული პასუხისმგებლობა ისრაელს დააკისრეს. საინტერესოა, რომ თურქეთი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიერ ისრაელის წინააღმდეგ გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოში შეტანილ სარჩელს შეუერთდა. გავრცელებული ინფორმაციით, ირანის პრეზიდენტ მასუდ პეზეშკიანს არ სურს რეგიონში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყება. სამშვიდობო მოლაპარაკებებს ემხრობა იაჰია ას-სანვარიც. როგორ განვითარდება მოვლენები არამარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში, ძნელი სათქმელია.

გასულ კვირას უკრაინის ჯარებმა რუსეთის ქალაქებს, კერძოდ, კურსკის ოლქს შეუტიეს, სადაც მძიმე საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს. ევროპული გამოცემა „პოლიტიკოს" ინფორმაციით, უკრაინელებს რუსეთის ტერიტორიაზე შეტევის ნებართვა დასავლეთის ქვეყნებმა, კერძოდ, აშშ-მა და გერმანიამ დართეს. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უკრაინამ რუსეთზე შეტევით ქვეყანაში მიმდინარე ომის ფრონტზე წარუმატებლობიდან ყურადღების გადატანა სცადა. იქაურ ხელისუფლებას სურს, დონორ ქვეყნებს აჩვენოს, რომ ბრძოლის უნარი შესწევთ. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რუსეთ-უკრაინის ომი, შესაძლოა, ახალ განზომილებაში, უფრო სისხლისმღვრელ ფაზაში გადავიდეს.

გასულ კვირას ბელორუსის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს უკრაინული უპილოტო საფრენი აპარატები. „მათ დაარღვიეს ყოველგვარი წესები, ჩვენი საჰაერო საზღვარი. რაში სჭირდებათ მსგავსი ქმედებები უკრაინელებს, გაუგებარია. როგორც ადრე ვამბობდი, ნებისმიერ პროვოკაციას, საიდანაც უნდა მოდიოდეს, უპასუხოდ არ დავტოვებთ", — განაცხადა ბრიფინგზე ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ. მისივე თქმით, „ბელორუსი ხალხი უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ეყოლება. არ ვამბობ, რომ ყოველივე ხვალ მოხდება. მემკვიდრეს უნდა დავუტოვო წყნარი, მშვიდობიანი ქვეყანა. ამის შემდეგ საცხოვრებლად სოფლად გადავალ". პირველად ლუკაშენკო 1994 წელს აირჩიეს. იგი დღემდე მართავს ქვეყანას. აგვისტოს ბოლოს მას 70 წელი შეუსრულდება.

საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანია აშშ-ში ახალ ფაზაში გადავიდა, რაც სულ უფრო მძიმე და ბინძური ხდება. 45-ე პრეზიდენტმა და ახლა უკვე კანდიდატმა დონალდ ტრამპმა დასაშვებად მიიჩნია, გამოიყენოს უცენზურო გამონათქვამები კონკურენტის, მოქმედი ვიცე-პრეზიდენტის, კამალა ჰარისის მიმართ. ტრამპს მიაჩნია, რომ ჰარისი მას იდეებს პარავს.

არც კამალა ჰარისი აკლებს კრიტიკას ტრამპს. გამოკითხვების შედეგებით, მან უკვე გადაასწრო ტრამპს მერყევ შტატებში, მაგრამ რამდენად ობიექტურად ჩატარდა გამოკითხვები, საკითხავია. გასულ კვირას კამალა ჰარისმა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად ტიმ უოლცი დაასახელა. იქაური ჟურნალისტების განცხადებით, აშშ-ის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმაც კი არ იცის, ვინ არის უოლცი და რა დამსახურებები აქვს მას. მათი თქმით, „ფერადმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ვიცე-პრეზიდენტად უფერული დაასახელა". დამოუკიდებელმა გამოცემებმა დააფიქსირეს, რომ კამალა ჰარისი საჯაროდ სუფლიორის გარეშე ვერ გამოდის (ჯო ბაიდენის მსგავსად). გამოსვლებისას ერთსა და იმავე ტექსტს იმეორებს სხვადასხვა შტატში.

ბრიტანეთში სამოქალაქო ომი ილონ მასკმა იწინასწარმეტყველა. გასულ კვირას ერთბაშად 23

ქალაქში იფეთქა არეულობებმა. პრემიერ-მინისტრმა, კირ სტარმერმა შვებულება გადადო, მაგრამ, ჯერ უძლურია, გაუმკლავდეს მიმდინარე გამოწვევებს.

გასულ ორშაბათს აშშ-ის საფონდო ბირჟებზე არნახული რყევები მოხდა, რისი მიზეზითაც ქვეყანამ 2 ტრილიონი დოლარით იზარალა. აშშ-ის შიდა ვალმა კი 35 ტრილიონს გადააჭარბა...

ვნახოთ, როდის და რით დასრულდება მსოფლიოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსი...

გია ბურდული

რატომ დასაჯა კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ერთ-ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია და რას ნიშნავს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება?

რატომ დასაჯა კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ერთ-ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია და რას ნიშნავს კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება? სსიპ „კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოს“ საქმიანობის შესახებ სტატიაში, რომელიც მკითხველს რამდენიმე ხნის წინ შევთავაზეთ, ვრცლად ვისაუბრეთ იმ უფლებების შესახებ, რომლითაც ხსენებული სააგენტო ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში ეხმარება. სტატიაში, ასევე, საუბარი იყო დემპინგის არსზე, იმაზე, როგორ ისჯება ბიზნესი ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო და სხვა.

ცნობისთვის, კონკურენციის სააგენტო მოქმედებს საქართველოს კანონის საფუძველზე, ის ემორჩილება მხოლოდ საქართველოს პარლამენტს და პრემიერ-მინისტრს. საკმარისია, სააგენტოს ანგარიშს გადავხედოთ, ვნახავთ ბაზარზე დომინირებული მსხვილი დასჯილი კომპანიების სიას, მათ შორის, ფარმაცევტულ და ნავთობის კომპანიებს.

კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებს, მთლიანად მხარდაჭერილია ევროკავშირის ქვეყნების მიერ.

ახლა ერთ მაგალითზე ვისაუბრებთ, რომელიც მეტ ნათელს მოჰფენს ზემოთთქმულს და კონკრეტულად გვაჩვენებს, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ვინმე ჩვენს უფლებებს დაარღვევს, კონკრეტულად კი, ჩვენი ბიზნესის საქმიანობის შეფერხებას შეეცდება.

ცნობისათვის სსიპ კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოს პრაქტიკა, ზოგადად, იურისტებისათვის, რომ იტყვიან, ახალი ბრენდია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია საქართველოში ბიზნეს სამართლის განვითარებისთვის და გვინდა, ამის შესახებ ბიზნესის წარმომადგენლებს ვესაუბროთ.

რამდენიმე დღის წინ შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ ხელმძღვანელს, ოთარ კერვალიშვილს სსიპ „კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოდან“ ჩაბარდა წერილი, სადაც სახელმწიფო ორგანო სთხოვს მას, წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრება, ხომ არ ჰქონია ადგილი შემსყიდველი ორგანიზაციებისგან სატენდერო პირობების დარღვევის ფაქტს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, უფლება ჰქონდა, თავისი უფლებების დაცვისათვის მიემართა კონკურენციის სააგენტოსათვის. ამასთან, გამოგზავნილ შეტყობინებას თან ერთვოდა საკმაოდ სქელტანიანი გადაწყვეტილება ერთ-ერთი დაზარალებული კომპანიის შესახებ, რომლითაც მისი უფლებების დაცვაში კონკურენციის სააგენტომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

პრობლემის არსი

როგორც კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებიდან ირკვევა, ერთ-ერთ კონტრაქტორ ფირმას რამდენიმე საბიუჯეტო შემსყიდველმა ორგანიზაციამ ტენდერში მონაწილეობა და საქმიანობის გაგრძელება მხოლოდ იმიტომ აუკრძალა, რომ მას სასამართლო დავა ჰქონდა აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან ლიცენზიის კანონიერებასთან დაკავშირებით და კანონის თანახმად, მას არ ჰქონდა უფლება, გაეგრძელებინა საქმიანობა და მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო შესყიდვებში. **აღნიშნული დათქმა იყო კონკურენციის შემზღუდველი და მათი სატენდერო პირობებიდან მოხსნა არღვევდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის მე-10 მუხლს, რომლის მიხედვითაც, არ უნდა არსებობდეს კონკურენციის შემზღუდველი ჩანაწერი. მომჩივანი მხარე აპელირებდა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციას არ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა მისგან, სასამართლოდან წარმოედგინა ცნობა მისი საქმიანობის სადავოობასთან დაკავშირებით.**

ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ იმ დასჯილ საბიუჯეტო შემსყიდველ ორგანიზაციებს, იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის პრაქტიკა და მიდგომა, რომელიც მომავალში ამ საქმიანობით დაკავებულმა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ.

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, მოიკვლია რა საქმის მასალები, ჩაატარა საქმის ყოველმხრივი გამოკვლევა, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ჩართული ჰყავდა ყველა ის სახელმწიფო ორგანო, რომელთაც შემხებლობა ჰქონდათ ამ საქმესთან და გადაწყვიტა: თვითმმართველი ორგანოს მხრიდან დადასტურდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა. კერძოდ, საბიუჯეტო შემსყიდველ ორგანოებს დაევალათ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო პირობები ჩამოაყალიბონ ისე, რომ ამ უკანასკნელმა არ შექმნას ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული, ან სხვა სახის ბარიერი და არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხება. მათ შორის, არ გამოიყენონ სატენდერო პირობა, რომელიც სასამართლოს აქტის საფუძველზე, მოქმედი აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს შეუზღუდავს ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით. სადავო სატენდერო პირობების გამოყენება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, არ იყო თანაზომიერი, რამაც შექმნა ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ბარიერი და ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხება გამოიწვია.

აქვე საყურადღებოა სააგენტო განმარტება, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღებას დაედო საფუძვლად: **„სადავო სატენდერო პირობების გამოყენება არ არის გამოსადეგი ლეგიტიმური საჯარო მიზნისათვის, ვინაიდან, სახელშეკრულებო ვადის მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი არსებობს ყოველთვის და მეორე მხრივ, ვერ დასტურდება, რომ მოქმედი აკრედიტაციისა და პრაქტიკული საქმიანობის პირობებში მყოფი მომჩივანი კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების პოტენციური შეუსრულებლობა უფრო მაღალი დონის რისკია, ვიდრე სხვა პრეტენდენტის მიერ, მხოლოდ იმის გამო, რომ მომჩივანს აქვს მიმდინარე დავა აკრედიტაციის ცენტრთან.**

სიმართლე რომ ვთქვათ, ერთი შეხედვით, სახელმწიფო ორგანო ემორჩილება კანონს და, ფაქტობრივად, ლეგიტიმური უფლება ჰქონდა, კონტრაქტორი ფირმისაგან საბიუჯეტო ორგანიზაციას მოეთხოვა ცნობა სასამართლოდან, რის ვერ წარმოდგენის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა, შეეწყვიტა ხელშეკრულება, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, შესაძლებელია, ერთი კანონი ბუნებაში პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს სხვას და ამიტომ საზოგადოების, მოცემულ შემთხვევაში, განსაკუთრებით ბიზნესის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება.

როგორც სააგენტოს გადაწყვეტილებიდან გავიგეთ, მთავარია, არ შეფერხდეს ბიზნესი. სახელმწიფო ბიზნესისათვის კრიზისულ მომენტებში უნდა იყოს ლოიალური, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებაში მყოფ ფირმებს გზადაგზა მათგან დამოუკიდებლად ექმნებათ ბარიერები, რის გამოც კანონი მათ ავალდებულებს, მიიღონ ფირმისათვის დამაზიანებელი გადაწყვეტილებები. სწორედ ასეთი პრობლემის წინაშე დადგა შპს „ექსპერტიზა მშენებლობა დიზაინის“ ხელმძღვანელობაც, რომელსაც კონტრაქტი აკრედიტაციის შეჩერების გამო შეუწყვიტეს და იძულებულია, დახმარებისათვის „კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტოს“ მიმართოს. მართალია, ხსენებულ ფირმას პრობლემა სახელმწიფო ორგანოსთან არ ჰქონია, მაგრამ, როგორც ფირმის ხელმძღვანელი აცხადებს, მის შემთხვევაში სახეზეა იურიდიული პირისაგან აშკარა დისკრიმინაციული მიდგომა და დავას ბოლომდე განაგრძობს.

„საერთო გაზეთი“ მომავალში აუცილებლად განაგრძობს მსგავს თემებს და შესაძლოა, ეს სტატიაც ბევრი კომპანიისათვის საკუთარი უფლების დაცვაში გზამკვლევადაც იქცეს!

ლევან ჭიღლაძე

P.S. იმ კომპანიებს, რომელთაც სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან აქვთ მსგავსი ტიპის პრობლემები, „საერთო გაზეთის“ რედაქცია საკუთარი იურიდიული სამსახურის მეშვეობით დაეხმარება, მიიღონ უფასო იურიდიული კონსულტაციები.

ტელ.: 557 74-98-87

პარიზი-2024 – ცუდი სიზმარი

ოლიმპიადა პარიზი-2024 დასრულდა.

მოყოლებული 1972 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებიდან, რომელიც საპოროში ჩატარდა, ეს პირველი ოლიმპიადაა, რომელიც ტელევიზორთან მიმჯდარს არ მინახავს, მხოლოდ ფრაგმენტულად ვუყურებდი და ნეტავ, ისიც არ მენახა.

ვინაიდან ბავშვობიდან სპორტში ვიყავი ჩართული, ჩვენი, იმ დროს საბჭოთა კავშირის, შემდგომ საქართველოსი და ბოლოს საქართველოს სახელით მოასპარეზე ყველა სპორტსმენის მხურვალე გულშემატკივარი ვიყავი სპორტის ყველა სახეობაში და ყველა რანგის შეჯიბრზე, მაგრამ ოლიმპიადა კულმინაცია, ერთგვარი ზეიმი იყო.

წელს ეს რა იყო! — მსოფლიო ლგბტ ტომობრივი გაერთიანების ეგიდით ჩატარებული რაღაც სპორტული აქტივობები ყველასთან ყველას მონაწილეობით, ამას სხვას ვერაფერს დაარქმევ!

ხომ ცნობილია, რომ ოლიმპიური თამაშები ტარდება ოთხ წელში ერთხელ და ყოველ თამაშს ნუმერაცია ენიჭება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თამაშები არ ჩატარდა რაიმე სერიოზული მიზეზის გამო, მაგალითად: პირველი მსოფლიო ომის გამო 1916 წლის თამაშები რომ არ ჩატარდა, 1940 წლის XII თამაშები; 1944 წელს XIII თამაშები... ოლიმპიადა 2024 წელსაც არ ჩატარებულა, ვინაიდან ოლიმპიადის ეგიდით

რაღაც ამორალური, უსამართლო და დამამცირებელი სპორტული ღონისძიება ტარდებოდა ნუმერაციით I!

დიახ, ნამდვილად მოითხოვს ათვლის დაწყებას, რადგან სულაც არ ვფიქრობ, რომ მსგავსი აღარ განმეორდება...

ოლიმპიური ალამი, თეთრი დროშა, ოლიმპიადის ეგიდით





მსოფლიო ბლა-ბლა აღარაფერი კი არა, სამარცხვინო თავისმოჭრაა — არასაიდუმლო სერობა უკვე შედგა!.. მსოფლიო ლგბტ პრაიდიც ჩატარდა და გულმხურვალე ტაშიც დაუკრეს!

ამ კატეგორიის უმგვანოებს ხომ სიმბოლოებით უყვართ რაიმეს გამოხატვა და თავიანთთვის იდეალურადაც გამოხატეს — პარიზის 33-ე ზაფხულის ოლიმპიადა — 33 ქრისტეს ასაკი... გააშარჟეს ქრისტე და ქრისტიანობა!..

დროსვე მსოფლიო აღშფოთების ნიშნად...

სპორტიდან რელიგიური თემის განზოგადებაზე რომ არ გადავიდეთ, მოკლედ ვიტყვი, ოლიმპიადის გახსნამ მსოფლიოს მაყურებელი აღაშფოთა. უკვე შემდეგ, უკან მიდევნებულ ლამპრად ვატიკანის აღშფოთება-შეშფოთება, ვაშინგტონის მიერ გამოთქმული შენიშვნები და დანარჩენი

შემწყნარებელი რელიგია იმას არ ნიშნავს რომ ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები ვიღაცებმა მასხრად აიგდონ... „შარლი ებდოს“ დანაშაული ახლოსაც ვერ მივა პარიზი-2024-ის რელიგიურ თავსლაფდასხმასთან... მუჰამედს ასე აიგდებდნენ მასხრად? — არა და ვერა!!!..

სამარცხვინოა, მაგრამ ოფიციალურ კრებსით დასავლეთს ხომ აღარაფრის რცხვენია — პარიზი-2024-ს გახსნაზე ქრისტიანული რელიგიის გაშარჟებას ირანმა როგორც უპასუხა, გადაფარა ყველა ცივილიზებული ევროპელისა და ამერიკელის აღშფოთება-შეშფოთება, თვით რომის პაპისაც — ირანის ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქში, თეირანში, ქრისტიანებისადმი სოლიდარობის ნიშნად, „წმინდა სერობის“ ორიგინალის ასლი დაუმახინჯებლად გამოაკრეს არაბული წარწერის დართვით: „ჭეშმარიტად მესია, იესო ქრისტე, ძე უმანკო მარიამისა. რომელიც არის ღვთის მაცნე და სახიერება მიწიერ ცხოვრებაში“.

ოლიმპიადაზე მონაწილე ყველა ქვეყნის სპორტსმენმა აჩვენა საკუთარ გულშემატკივარს, როგორი „ოლიმპიური სოფელი“ დახვდათ: პატარა ოთახები კონდიციონერის გარეშე და მუყაოს ყუთებით შეკრული ვიწრო ე. წ. საწოლები, რასაც თან ერთვოდა კვებისა და სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარების პრობლემები. ჩემპიონმა მოცურავე ყმაწვილმა, ოლიმპიურ ქალაქში არსებული მუყაოს საწოლისა და, ზოგადად, ცუდი პირობების გამო, ღია ცის ქვეშ დაიძინა, სადაც დააფიქსირეს კიდეც. შვედური ფრენბურთის გუნდმა საკუთარი სახსრებით შეიძინა საძინებელი ინვენტარი, რადგან ოლიმპიურ სოფელში მოსვენება შუძლებელი იყო.

ფაქტობრივად, სპორტსმენებს უთხრეს, არ მოგწონს პირობები? — წადი!

ჩვენი სანაქებო ძალოსანი ლაშა ტალახაძე ჯერ ხომ ვერ დაეტია მუყაოს საწოლზე, შემდეგ ჩაუტყდა კიდეც...

იმის გამო, რომ მუყაოს საწოლებზე ვერ დაეტივნენ, აშშ-ის საკალათბურთო გუნდის წევრები სასტუმროში გადავიდნენ...

მდინარე სენაში გაცურვამ ბელგიელ ტრიატლონისტს კლერ მიშელს ჯანმრთელობა შეურყია ნაწლავური ჩხირების გამო და ამ მიზეზით მთელი გუნდი გამოეთიშა შერეულ ესტაფეტაში მონაწილეობას. სენაში ვარჯიშში რამდენჯერმე გაუქმდა და კაცების სტარტი გადაიდო, თუმცა, ბოლოს მაინც ჩატარდა. სენაში გაცურვის გამო თავი შეუძლოდ იგრძნეს ყაზახმა და პოლონელმა სპორტსმენებმაც. მაყურებლებმა ვიხილეთ მათი პირსაქმებაც...

ადამ პიტმა განაცხადა, რომ სპორტსმენებმა საკვებში ჭიები აღმოაჩინეს...

ბრიტანელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა განაცხადა, რატომ გვსჯიან სპორტსმენებს, არ ვიცი, ოთხჯერ ვარ ნამყოფი ოლიმპიადაზე და რაც პარიზის ოლიმპიადის სოფელში ხდება, ამას ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდიო...

რაღაც სპორტული უცნაურობა ვნახე, ვერ მივხვდი, რას ვუყურებდი — რას აკეთებდა ოლიმპიადაზე ავსტრალიელი რეიჩელ განი, გარდა იმისა, რომ კოშმარულად და სასაცილოდ ჩანდა, სრულიად გაუგებარი რამ იყო. ამიხსნეს, ეს ბრეიქინგია (ბრეიქდანსი), ამაზე და ბილიარდზე იყო საუბარი, რომელიმე უნდა შეეყვანათ ოლიმპიურ სახეობაში და ეს აირჩიესო...

მსაჯებზე სპორტსმენები ერიდებიან საუბარს, მაგრამ მე, მაყურებელს არაფერი მაქვს მოსარიდებელი — პარიზი-2024-ზე ქართველი (და არა მხოლოდ) სპორტსმენების წინააღმდეგ სამარცხვინო მსაჯობის არაერთი ფაქტი ვნახეთ პირდაპირ ეთერში.

რაც ღონისძიება იყო, ის იყო მსაჯობაც!

ვერავინ დამარწმუნებს, რომ მსაჯებს თავიანთი საქმის ინჩიბინჩი არ გაეგებოდათ, ისევე როგორც, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალის შემოქმედებითმა ჯგუფმა არ იცოდა, რას დგამდა, უბრალოდ და მარტივად, სახეზე გექონდა ფსევდოლიბერალური პოლიტიკის გამტარებელი, კორუმპირებული, უნამუსო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მისი ასეთივე პარტნიორი ორგანიზაციების თავაშვებულობა!

უსამართლობასთან შეჯახებულ ჩვენს თითოეულ სპორტსმენს ნივთიერი სახით ერთი კონკრეტული სინჯის მედალი თუ მოაკლდა, სანაცვლოდ, ქართველი გულშემატკივრების ისეთი გულები მიიღეს, რასაც უანგაროდ სიყვარული ჰქვია. სპორტსმენისთვის მიმდინარე წარმატებულ სპორტულ კარიერაში დისკვალიფიკაცია ცუდია, მაგრამ ასეც ხდება, სანაცვლოდ, ქართველობის გასიგრძეგანება და ღირსება სპორტის ყველა სახეობაში მიღებულ მედალზე ზეაღმატებულია...

ვერაფერი მოუხერხეს, მაინც წამოიღო საქართველომ სხვადასხვა სინჯის მედლები, თუმცა, სიმართლე

კი არა, კოშმარული რეალობა!

გითხრათ, არც ამდენს ველოდი, ჩვენ ხომ კოლექტიურად დაგვასანქცირა კოლექტიურმა დასავლეთმა...

პირველი გულის გატეხვა სანდრო ბაზაძის მიმართ გამოვლენილი უსამართლობით მივიღე. საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ საერთაშორისო ორგანიზაციაში საჩივრის წერილი გაგზავნა, რადგან სახეზე იყო მისი დაჩაგვრა — არაფერი შეიცვლება, მაგრამ კმარა! ტოკიოშიც აშკარად დაჩაგრეს, ახლაც აშკარად დაჩაგრეს და 14/15 დამარცხებულად ცნეს. ბრძოლის ბილიკიდან არ გადიოდა სანდრო, მსაჯი დამელაპარაკოს, სირცხვილიაო, მაგრამ ასე იყო გადაწყვეტილი და ასეც გაფორმდა, თორემ კადრებში ჩანს, როდის აინთო მისი ნათურა.

ილია სულამანიძეც მაყურებლის თვალწინ გაწირეს, ოლიმპიადის ფინალში ოქროს მედალი სულ უბრალოდ აართვეს;

კრივში, ლაშა გურული, რომ იტყვიან, გადარჩა, თორემ ფინალამდე რაც მოხდა, ფაქტად დარჩა, პირველი რაუნდი მოგებული რომ გვეგონა ყველას, 0/5 წაგებად ჩაუთვალეს...

რაც შეეხება გურამ თუშიშვილს, ფოტო და ვიდეომასალა დოკუმენტური დასტურია იმისა, რა მოხდა რეალურად წამებში, — ტედი რინერის ხელს ილეთის დასრულების მომენტში აღარ უკიდია გურამის კიმონოზე ხელი, ის გურამის ყელზეა ჩაფრენილი და ახორციელებს ძალადობრივ-აგრესიულ აქტს, ღია და აშკარა უპატივცემულობას გამოხატავს მეტოქის მიმართ. ამას ერთვის მისი ფრაზები და სახის დამცინავი გრიმასა. გურამმა ღირსება არ შეალახვინა რინერს და იქვე, ყველაზე დასაშვები ფორმით უპასუხა, მაგრამ ძიუდოს მიკერძოებულ საერთაშორისო ფედერაციის დისციპლინურ კომისიას როგორც მოესურვა, ისე გადაწყვიტა და დისკვალიფიკაცია მისცეს, სპორტსმენს სპორტულ კარიერას გამიზნულად უმსხვრევენ... სრულიად ეროვნული მხარდაჭერა მიიღო ქართველმა ფალავანმა, რომელმაც ლითონ ოქროს ღირსება ამჯობინა!

დაიხურა სიმბოლო — ორი წითელი ჩაჩით გამოსახული პარიზი-2024, მაგრამ დარჩა, როგორც ლიბერალები იტყოდნენ „კრეატიული“ სიმბოლო, რომელიც შეურაცხყოფილი მაყურებლისა და უსამართლობით გამწარებული სპორტსმენების უსიტყვოდ გადმოცემული უკმაყოფილების გამოძახილია, ყოველგვარ იმ უმგვანობაზე, რაც იქ ხდებოდა...

2024 წლის პარიზის ოლიმპიადაზე 206 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოს 28 სპორტსმენი წარმოადგენდა. ჩვენზე მეტი სპორტსმენით 67 ქვეყანა ასპარეზობდა. ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 7 მედალი — 3 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. 28 სპორტსმენიდან 7 მედლის აღება 25%-ია, რაც ფანტასტიკური შედეგია!

მოპოვებული მედლებით 24-ე ადგილზე გავედით, რაც საუკეთესო შედეგია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ოქროს მედლების რაოდენობით კი მე-20 ადგილი დავიკავეთ.

ჩვენ გავუსწარით ქვეყნებს, რომელთაც ჩვენზე ბევრად მეტი სპორტსმენი ჰყავდათ: პოლონეთი (128), ბელგია (218), ეგვიპტე (148), არგენტინა (136), შვეიცარია (127), დანია (124), სერბეთი (112), ჩეხეთი (111), ინდოეთი (110), მექსიკა (107), თურქეთი (101), საბერძნეთი (100), ისრაელი (88), კოლუმბია (87), ყაზახეთი (79), ავსტრია (78), ხორვატია (73), პორტუგალია (73), აზერბაიჯანი (48), ბულგარეთი (46).

ლაშა ტალახაძე გახდა პირველი სპორტსმენი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც სამჯერ მოიგო ოლიმპიადა.

ლაშა ბექაური გახდა პირველი ქართველი ძიუდოისტი, რომელმაც ორჯერ მოიგო ოლიმპიადა.

გვყავს ახალი ოლიმპიური ჩემპიონი — გენო პეტრიაშვილი.

24 წლის ტატო გრიგალაშვილმა ძიუდოში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ილია სულამანიძეს მსაჯებმა მოპარეს ოქრო, როდესაც 100%-იანი იპონი არ ჩაუთვალეს.

გივი მაჭარაშვილმა საქართველოს ვერცხლი მოუტანა თავისუფალ ჭიდაობაში.

ლაშა გურულმა, 24-წლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს კრივში მოუტანა ოლიმპიური მედალი.

3,7-მილიონიანმა საქართველომ 7 მედალი მოიპოვა, ჩვენზე 10-ჯერ, 30-ჯერ, 100-ჯერ და 500-ჯერ მრავალრიცხოვანმა ქვეყნებმა კი ტოლი ვერ დაგვიდეს — 90- მილიონიან თურქეთისა და მილიარდნახევრიანი ინდოეთის სპორტსმენებს არცერთი მედალი არ მოუპოვებიათ!..

პარიზი-2024-ის ოლიმპიადაზე ყველაზე მეტი, 122 მედალი მოიპოვა 348-მილიონიანმა ქვეყანამ, 3-მილიონიანმა საქართველომ კი – 7 მედალი. პროცენტულად დაიანგარიშონ, რამდენი რამდენზეა და მერე გველაპარაკონ...

ურსულა ფონ დერ ლაიენმა ოლიმპიადების ისტორიაში საუკეთესო ოლიმპიადა უწოდა პარიზი-2024-ს. რა თქმა უნდა, უწოდებდა, ეს ხომ ის ოლიმპიადა იყო, რომელიც ღვთის გმობით გახსნეს გაურკვეველი

სქესის აღვირახსნილმა არსებებმა; ეს ხომ ის ოლიმპიადა იყო, სადაც სპორტსმენებისადმი არანაირი პატივისცემა არ იგრძნობოდა, პირიქით, სჯიდნენ და მასხრად იგდებდნენ; ოლიმპიადა, რომელზეც ბრეიქდანსი სპორტის სახეობად გაასაღეს, კაცი — ქალად, მოცურავეები ფეკალიებში ცურავდნენ; ტიაგუ ალმეიდას (არგენტინა) პირადი ნივთები და ოქროს ბეჭედი აწაპნეს, ავსტრალიის ველოსიპედისტთა ნაკრები სრულად გაძარცვეს...

ვერაფერს იტყვი, უნიკალური ოლიმპიადა იყო...

ოლიმპიური ალამი პირველად 1914 წელს აღიმართა პარიზში ოლიმპიური თამაშების აღორძინების 120 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე და 2024 წელს პარიზშივე დაენარცხა სამარცხვინოდ...

საქართველოს გაუმარჯოს!

P.S. ქალად თავნაგრძნობი კაცების ნაბეთქი ქალები და ამ სამარცხვინო ფაქტების გამო უმწვავესი პროტესტის გამოხატვის ნაცვლად, ქალთა უფლებების ვითომ დამცველი ორგანიზაციებისა და ფემინისტების დუმილი ცალკე თემაა, ამიტომ ძალზე მოკლედ შევეხები და ისიც იმიტომ, რომ ქართველმა ლიბერალებმა ეს სამარცხვინო ფაქტი „ქართულ ჭორად“ მონათლეს ალჟირელი მოკრივე ვითომ ქალის მიერ იტალიელი მოკრივე გოგონას ცემა.

იტალიის პრემიერსა და იტალიელ მოქალაქეებს გვერდს ავუვლი, მხარე არიან — ლიზ ტრასმა (ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი) ტვიტერზე დაწერა: „როდის შეჩერდება ეს სიგიჟე? მამაკაცები ვერასოდეს გახდებიან ქალები! რატომ არ აპროტესტებს ამას ბრიტანეთის მთავრობა?“

შერონ დევისი, ბრიტანელი მოცურავე ქალი: ეს შოკისმომგვერელია! საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქმედება სისხლიანი სირცხვილია! ფაქტობრივად, ეს არის ქალის ცემის ლეგალიზება! ეს უნდა შეწყდეს! რა ჯანდაბა უნდათ მათ?

ჯოან როულინგი: რა იქნება საჭირო ამ სიგიჟის დასასრულებლად? მოკრივე ქალმა სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები უნდა მიიღოს? მოკრივე ქალი უნდა მოკვდეს? უყურეთ ვიდეოს და ახსენით, რატომ არის კარგი, როცა მამაკაცი ქალს სცემს საზოგადოების წინაშე თქვენ გასართობად? ეს არ არის სპორტი! დაწყებულია ბულინგი და მოტყუება ოლიმპიადის ორგანიზატორების მხრიდან, რომლებმაც ამის საშუალება მისცეს წითელმაისურიანს. ესენი არიან მამაკაცები, რომლებიც ტკბებიან თავიანთი ძალაუფლებით ქალებზე!“

უამრავი მსგავსი პროტესტი გამოითქვა, მაგრამ რა!..

ოლიმპიადაც გარყვნილმა მოფაშისტო ლიბერალებმა ჩაიგდეს ხელში...

ზურა ოშხერელი

ნოდარი, ჯანსუღი – ლომონოსოვი და ლავუაზიე

„1962 წელია. მე და თენგიზ აბულაძე მოსკოვში ვიმყოფებით „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ცენზურულ „პრასმოტრზე“. ჩვენების წინა დღეს პოდმოსკოვიეში ვიყავით, პასტერნაკის აგარაკზე, პერედელკინოში და იქიდან „ელექტრიჩკით“ ვბრუნდებოდით უკან. ნახევრად ცარიელ ვაგონში ერთი რვაკაციანი კამპანია იჯდა, არყით ქეიფობდნენ და თავიანთი უნიჭო სიმღერით ყურთასმენა წაიღეს. მე და თენგიზი „ტამბურში“ გავდიოდით სიგარეტის მოსაწევად, თან იმიტომაც, ამ გნიასისთვის რომ თავი დაგვეღწია. „ტამბურში” საკმაოდ მოზრდილი, ძვირფასი მაცივარი იდგა. როგორც ეტყობოდა, ერთ-ერთ მგზავრს გადაჰქონდა ის ერთი ადგილიდან მეორეზე. ერთ-ერთი მორიგი გასვლის დროს, როცა მე და თენგიზმა გავაბოლეთ, ერთი მოხუცებული ბაბუ მოგვიახლოვდა და გვითხრა:

– შვილებო, ახლა ჩემი სადგური იქნება და იქნებ, ეს მაცივარი ბაქანზე ჩამატანინოთო...

მოხუცს მიხმარებას როგორ დავამადლიდით და „ელექტრიჩკა“ რომ გაჩერდა, მაცივარი „პერონზე“ ჩავუტანეთ და უკან დავბრუნდით. ნახევარიოდე საათის შემდეგ უკვე მოსკოვს მივადექით. მთვრალი კამპანია ჩვენზე წინ გავიდა „ტამბურში“. ჩვენ უკან მივყევით და ერთ-ერთი მთვრალის განწირული კივილი შემოგვესმა:



– „კარაულ“! მილიცია, მიშველეთ! ახალთახალი მაცივარი მომპარესო...

უცებ ყველაფერს მივხვდით. ბაბუმ, თურმე, ყველა გაგვაბითურა და სანამ მაცივრის პატრონი არყით ლოთობდა, მე და თენგიზს ახალთახალი მაცივარი მოგვაპარინა.“

●

ჯანსუღ ჩარკვიანი: ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით, ყოველდღე, ყველგან, თქვენ წარმოიდგინეთ, შეხვედრებსაც, ხშირად, ორთავეს ერთად გვიწყობდნენ, წვეულებაზეც ერთად გვეპატიჟებოდნენ. ერთ სუფრაზე ერთად გვადღეგრძელეს და უცებ ნოდარმა გადმომილაპარაკა: ამგენს ჩვენ ლომონოსოვი და ლავუაზიე ვგონივართო.

●

მოსკოვშია **ნოდარ დუმბაძე** ცოლთან ერთად. მაღაზიებში სიარულისას ქალბატონ ნანულის ძალიან მოსწონებია 12-კაციანი ჩაის სერვიზი და დაუჟინებია, ვიყიდოთო, ნოდარი მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და, – კაი ვიყოდოთ, მარა იმ კაცს რა ვუთხრა, სახლში 12 კაცს რომ მიიყვანს და ჩაის დაალევინებსო..

●

ჯანსუღ ჩარკვიანი აუხირდა, თურმე, ნოდარ დუმბაძეს, არ შეიძლება, ყველა გურული ენამოსწრებული იყოს, ეს შენ აგდის ხუმრობა ხელზე და მერე გურულებს აბრალებო...

მიიპიტიჟა გურიაში ნოდარმა სტუმრად ჯანსუღი. ჩაასხეს პოეტის “ჟიგულში” ბენზინი და წამოვიდნენ ხიდისთავისკენ. გამოსცდნენ დაფნარს და მათი თავგადასავალიც საჯავახოს გადასახვევიდან დაიწყო, სადაც გურული გლეხი დაემგზავრათ ჩოხატაურამდე. ვერ იცნო გლეხმა ვერ ერთი და ზის უკანა სავარძელზე თავისთვის, წყნარად. ჯანსუღი ენას არ აჩერებს, ხუმრობს და დროდადრო ნოდარს გადახედავს ირონიულად – ესეც შენი ენაკვიმატი გურულებიო! მერე გაეცნო გლეხს, პოეტი ვარო და თავისი ახალი ლექსების პატარა ბროშურა აჩუქა. გურულმა გადმოაბრუნა და ბოლო გვერდზე გადაშალა, იქ, სადაც წიგნებს ფასი აწერია, ხოლმე. პატარა ბროშურა იყო და ფასიც პატარა ჰქონდა – 15 კაპიკი.

გურულს გაეცინა და პირველად ამოიღო ხმა:

– ცარიელი რვეული 20 კაპიკი ღირს, ბიძია, და რას წერ ამფერს, შენი წიგნი 5 კაპიკით ნაკლები რომაა?!

ხმა აღარ ამოუღია ჯანსუღს. ის კი არა, ისე ინერვიულა, გზაზე არხეინად მიმავალ გოჭს დაეჯახა და სული გააფრთხობინა. გააჩერეს მანქანა, მიიხედ-მოიხედეს და კაციშვილის ჭაჭანება არაა გზაზე. ახადეს მანქანას საბარგული და ის იყო, გოჭი უნდა ჩაედოთ შიგ, რომ მაღალი მთის კალთაზე დაკიდებულ ყანაში მომუშავე გლეხმა გადმოსძახა:

– ნოდარა, ბიჯო, არ მითხრა, ახლა საავადმყოფოში მიმყავს აი გოჭიო! დადევი მაქანე და მასტუმრე მაგი ხალხი!

ჯანსუღმა საბოლოოდ მოკაკვა თითი.

●

უნივერსიტეტში განიხილავდნენ ნოდარ დუმბაძის რომანს „მე ვხედავ მზეს“. ერთმა სტუდენტმა ჰკითხა ნოდარს, – ეს შენი „სოსოიას რუსი“ ამ რომანში და, კერძოდ, გურიის სოფელში საიდან გაჩნდაო?

ნოდარმა უპასუხა: „საქართველოში ორასი ათასზე მეტი რუსია და ერთხელაც არავის უკითხავს, საიდან გაჩნდნენ აქ და ჩემს რომანში ერთი რუსის გაჩენა გიკვირთ?“

●

ნოდარ დუმბაძეს ერთხელ ვიღაც ინგლისელი გააცნეს, რომელმაც მშობლიურ ენაზე გაუბა საუბარი. „უთხარით, რომ სკოლაში გერმანულს მასწავლიდნენ“, – სთხოვა თარჯიმანს ბატონმა ნოდარმა. ინგლისელი მაშინვე გერმანულად ალაპარაკდა. ბატონი ნოდარი შეიშმუშნა და თარჯიმანს კვლავ თხოვნით მიმართა: “ახლა ისიც უთხარით, რომ ისინი კი მასწავლიდნენ, მაგრამ მე არ ვსწავლობდიო”.

●

ნოდარ დუმბაძე მაშინ „ნიანგის“ რედაქტორი იყო, საკუთარი მანქანა ჰყავდა და საჭესთანაც თავად იჯდა. მანქანაში ვისხედით ნოდარი, მე და ზაურ ბოლქვაძე. ერთმა ინსპექტორმა გაგვაჩერა, ნოდარი არ გადმოსულა მანქანიდან, არადა, ინსპექტორი ნოდართან არ მოვიდა, ასე ვიდექით კარგა ხანს, მერე ნოდარმა გასძახა, ძამა, ან შენ მოდი და ფული წაიღე ან მე მოვალ და ფული მომეციო.

●

ვიღაცამ სცადა ნოდარის გაკრიტიკება, სცადა, ვერ კი შეასრულა. ნოდარმა მაინც მოიწყინა,

მოიწყინა და მე გამანდო, ჯანსუღა, ძამა, რა უნდა იმ კაცს ჩემგან, ხომ არ იციო. ჩვენში დარჩეს და, ნოდარი ბოლო წლებში, როცა ავადმყოფობა მოეძალა, ყველაფერს განიცდიდა და ყველაფერზე ეჭვს გამოთქვამდა. მე შევატყვე, რომ ძალიან ნაწყენი იყო და უმალ ვუპასუხე: ნოდარა, ახლა შენ შენით თუ მეიჭამ ფეხებს, თვარა ვერავინ ვერ მოგჭამს-მეთქი. ჰო, რა გაუხარდა.

●

ნოდარ დუმბაძე „ნიანგის“ რედაქტორი როცა იყო, დასაბეჭდად მოიტანია ნაცნობს რაღაც მისთვის. ნოდარს წაუკითხავს და უხუმრია: წაი, ახლა ძამა და ჯანმრთელობის ცნობა მეიტანე და მერე დაგიბეჭდავო. ამ კაცსაც არ შეუტეხავს, წასულა და მართლა მოუტანია ჯანმრთელობის ცნობა, მაგრამ ნოდარი არ დაბნეულა: ახლა წაი და მაგ ცნობის მომცემის ჯამრთელობის ცნობაც მეიტანე და ნაღდად დაგიბეჭდავო..

●

ტარდება თათბირი „დონ კიხოტის“ ეკრანიზაციის საკითხებზე. რევაზ ჩხეიძემ თან ინგლისელი კოლეგა მოიყვანა. სტუმარმა შეკრების მიზეზი რომ გაიგო, გაოცდა, რაღა შორს მიდიხართ, ბარემ „ვეფხისტყაოსანი“ გადაიღეთო.

– აი, ჩვენ კი გავთავხედდით – დასძინა მან – „ქართულ ფილმთან“ ერთად გვინდა ამ ნაწარმოების გადაღება... მსახიობებიც კი შევარჩიეთ. თინათინს ითამაშებს ოდრი ჰეპბერნი, ნესტან-დარეჯანს – სოფი ლორენი, ტარიელს – პიტერ ო’ტული, ავთანდილს – ალენ დელონი, ფატმანს – ბრიჯიტ ბარდო, ფრიდონს – ენტონი ქუინი...

– რაღა ერთობლივი ფილმია, ჩვენ ვინღა უნდა ვითამაშოთ?! – ვერ დამალა უკმაყოფილება ვიღაცამ.

– როგორ თუ ვინ?! – საუბარში ჩაერია ნოდარ დუმბაძე – ამდენ ქაჯს თამაში არ უნდა?

●

უკანასკნელ ხანს ნოდარ დუმბაძე მეტისმეტად დაძაბუნდა. სიარულიც უჭირდა, სუნთქვაც, ლაპარაკიც, მაგრამ სიცოცხლის ხალისი და იუმორის გრძნობა ძველებურად ჰქონდა შერჩენილი. იმ დღეებში პრესაში დაიბეჭდა სტატია სახელწოდებით, ყველამ მივბაძოთ ამხანაგ ჩერნენკოსო!

– მე რაც შემიძლია, ვბაძავ, ძამა, – ვერ დავდივარ, ვერ ვლაპარაკობ და ვერ ვსუნთქავ! ამოუოხრავს ნოდარს.

შეაგროვა
მაკა ჯაყელმა

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. განაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99